პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი. № 88 (12600) | შაბათი, 13 აპრილი, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.

ჩვენი საჩუქრები პირველ მაისს!

შრომითი შემართება

ახალი ძალით გააჩაღა საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება თბილისის ქარხანა „ელექტროგამზეების“ კოლექტივმა.

ქარხნის კოლექტივმა პირველი კვარტალის დავალება 101,4 პროცენტით გაანაღდა და გეგმის გადამეტებით ათასობით მანეთის პროდუქცია გამოუშვა. აპრილში კიდევ უფრო გაძლიერეს შრომის ტემპი, ყველა საამქრო, ბრიგადა გადაჭარბებით ასრულებს დავალებას.

განვლილ პერიოდში მანქანა-დანადგარების მაქსიმალური გამოყენებით, შრომატევადი პროცესების მექანიზაციით აქ შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით 0,6 პროცენტით აამაღლეს, ხოლო გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება 0,2 პროცენტით შეამცირეს.

საპირველმაისო შრომითს გახტს წარმატებით ეწევიან კომუნისტური შრომის ბრიგადები, რომლებსაც ო. გელესიანი, ა. კარელსკი და ც. ცერცვაძე თავკაცობენ.

მეაგურე რაციონალიზატორები

ქარხნის მეაგურეა მეაგურე ივანე ვ. დათაშვილია. კონსტრუქციული ცვლილებებ შეიტანა ერთ-ერთ „ამ-ის“ ხელმანდილზე, ხელოვანი რაციონალიზატორმა გაზარდა გახურების ფართი და მიაღწია პროდუქციის ხარისხის ამაღლებას. ამ ფინადადების დანერგვით წარმოება ყლიურად 10.342 მანეთი ეკონომიას იღებს.

მძიმე საქმე იყო მოტომავალის გორგლის მოხსნა გასასჩარხავად. ახლა ხარატი ს. გუფულაშვილი გორგალს მოუხსნელად ჩარხავს. ამით ძალიან შემცირდა მოტომავლის შეკეთებაში დგომის დრო.

ბევრი კარგი რაციონალიზატორული ფინადადების ავტორები არიან საკრამიტე საამქროს უფროსი ბ. კალატოზიშვილი, ზეინალი ვ. პრიტულა და სხვები. ყოველწლიურად ქარხანა რაციონალიზატორული ფინადადებების დანერგვით ათეულ ათასობით მანეთ ეკონომიას იღებს.

მეაგურე

კასპი. (საკ. კორ.). მეტეხის აბურის ქარხნის ელექტროშემკეთებელი ვ. სულთანიშვილი რამდენიმე კარგი რაციონალიზატორული ფინადადების ავტორია. მისი ერთ-ერთი ფინადადება — ფნეხ „სმ-301“-ის დოზირების ძრავების ღვედურ გადაცემაზე გადაყვანის შესახებ ქარხანას ყლიურად 1.025 მანეთ ეკონომიას აძლევს.

დეპოს კოლექტივის წარმატება

ხაშური. (საკ. კორ.). სავაგონო დეპოს კოლექტივმა გადამეტებით შეასრულა მიმდინარე წლის პირველი კვარტალის საწარმოო დავალება. ამასთან შრომის ნაყოფიერება გაზარდა 5,5 პროცენტით და სახელმწიფოს მისცა 34 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება.

დეპოს მთელი კოლექტივი საპირველმაისო შრომითს ვახტზე დგას. დურგლები რ. ქარუხნიშვილი, ა. ქურდაძე, ზეინკლები ს. ქიტიაშვილი, ვ. მეგრელიშვილი, მ. ყიფშიძე ყოველდღიურ გეგმებს 118-125 პროცენტით ანაღდებენ.

ხაშურელი მევაგონეები ენერგიულად შრომობენ აპრილშიც. პირველი დეკადის დავალება დეპოს ყველა საამქრომ გადაჭარბებით შეასრულა.

გეგმის გადამეტებით

ბორჯომი. (საკ. კორ.). საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში კარგი წარმატება მოიპოვა მინერალური წყლების ჩამომსხმელი ქარხნის კოლექტივმა. წლის პირველი კვარტალის საწარმოო დავალება გადაჭარბებით შეასრულა და გეგმის გადამეტებით სამშობლოს მისცა 288 ათასი ბოთლი ბორჯომის წყალი. მარტო მარტში გეგმის ზევით ჩამოსხმულია 159 ათასი ბოთლი.

პირველი მაისის დღესასწაულის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე დგას ჩამომსხმელი საამქრო, რომელსაც ი. გოგოლაძე ხელმძღვანელობს. ბრიგადები, რომელთაც ა. ხარაზიშვილი და ა. ნიკიფორაშვილი ხელმძღვანელობენ, მინერალური წყლის ჩამოსხმის დავალებებს სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებენ.

ვარსკვლავეთის გზების პირველაღმომჩენთა დღესასწაული

კოსმონავტიკის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა კრემლის ყრილობათა სასახლეში

კოსმონავტიკის დღემ — ყველაზე ახალგაზრდა დღესასწაულმა პალანეტაზე დაამშვენა ჩვენი გაზაფხული. ამ დღეს მარტოოდენ კოსმონავტი მფრინავები, მეცნიერები, ინჟინრები და მუშები როდი აღნიშნავენ, რომლებმაც გაიყვანეს პირველი კვლები სამყაროს სივრცეებში. ამ დღესასწაულის მონაწილენი არიან აგრეთვე მეტალურგები, რომლებიც ფოლადს ადნობენ, ყამირის კომბაინთა შტურმანები, ცომბირელი ჰიდრომშენებლები და მოგზაური გეოლოგები. მთელი საბჭოთა ხალხი არის ამ დღესასწაულის შემოქმედი. ეს მან გამოჭედა ქვეყნად გამარჯვებანი, რომლებიც მოიპოვა ჩვენმა ქვეყანამ კოსმოსში.

ჩვენს ახალგაზრდა დღესასწაულს უკვე აქვს საკუთარი ტრადიციები. იუბილედან იუბილემდე იზრდება სამყაროს ათვისების ტემპი. ერთიორად გაიზარდა ბერთა რიცხვი, რომლებმაც განადიდეს საბჭოეთი კოსმოსური საგმირო საქმეებით. უკვე მეორედ, ამ სასიხარულო დღესასწაულს რომ აღნიშნავენ, დედაქალაქის საუკეთესო დარბაზში — კრემლის ყრილობათა სასახლეში — 12 აპრილს შეიკრიბნენ მოსკოველები, საბჭოთა ადამიანების — ვარსკვლავეთის ზეგის პირველაღმომჩენთა მოწიფავი რაზმი.

ყრილობათა სასახლის დარბაზის სიღრმეში მოჩანს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ბარელიეფური პორტრეტი. საბჭოთა ადამიანები ძვირფასი ბელადის სახელს უკავშირებენ ამ გონების გამარჯვებაა, ჩვენი საზოგადოებრივი წყობილების გამარჯვებას.

ექვსი ათასი კაცი ფეხზე წამოდგა და აღტაცებული ტაშის გრიალით შეხვდა კოსმოსის გმირებს **ი. ა. გაგარინს, გ. ს. ტიტოვს, ა. გ. ნიკოლაევს, პ. რ. პოპოვიჩს,** როცა ისინი დარბაზში შემოვიდნენ.

საზეიმო კრებაზე მოვიდნენ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები. შეკრებილნი ხანგრძლივი ტაშით მიესალმნენ **ანასტასიას ი. ბრეჟნევს, ა. ჰ. კირილენკოს, ა. ი. მიკოიანს, დ. ს. პოლიანსკის, მ. ა. სუსლოვს, პ. ნ. დემიჩევს, ლ. თ. ილიჩოვს, ბ. ნ. პონომარიოვს, ა. პ. რუდაკოვს, ა. ნ. შელეპინს,** რომლებიც პრეზიდიუმში შემოვიდნენ.

მეუხარე ტაშით შეხვდნენ წინადადებას — კრების სანატორ პრეზიდიუმში აირჩიონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით.

მშრომელთა წარმომადგენლების საზეიმო კრება, მიძღვნილი კოსმონავტიკის დღისადმი, გახსნა მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **ვ. ფ. პრომისლოვმა.**

— დღეს მთელი საბჭოთა ხალხი, — თქვა მან, — უდიდესი სიხარულისა და ჩვენი საყვარელი სამშობლოსთვის სიამაყის გრძნობით აღნიშნავს კოსმონავტიკის დღეს — მსოფლიოში პირველი უმაგალითო კოსმოსური რეისის მეორე წლისთავს, რეისისა, რომელიც **საბჭოთა კავშირის მოქალაქემ** — კომუნისტმა იური ალექსის-ძე გაგარინმა განახორციელა. ეს დღე მუდამ აღინიშნება როგორც საბჭოთა ადამიანის გაბედული აზრის გამარჯვების, მისი გონების სიდიადის, ჩვენი მეცნიერებისა და ტექნიკის ტრიუმფის დღესასწაული.

დარბაზში შეკრებილთა სახელით, მოსკოვის ყველა მშრომელის სახელით ამხ. პრომისლოვმა გულმხურვალედ მიულოცა კოსმონავტიკის დღე კოსმონავტ მფრინავებს, მეცნიერებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებს, მუშებს, რომელთაც ძლევამოსილი ეერიში მიაქვთ სამყაროს უკიდეგანო სივრცეებზე.

ტრიბუნაზეა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი **მ. ვ. კელდიში.** კოსმონავტიკის დღე, თქვა მეცნიერმა, ჩვენი ქვეყნის მთელი ხალხის დღესასწაულია, რადგანაც პირველი კოსმოსური გაფრენის განხორციელება შესაძლებელი გახდა ჩვენი ხალხის გიგანტური შრომის მეოხებით, ხალხისა, რომელმაც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მიაღწია ჩვენი სოციალისტური სამშობლოს უმაგალითო აყვავებას და მოკლე ვადაში განახორციელა უზარმაზარი ნახტომი ეკონომიკაში, ტექნიკაში, მეცნიერებაში, კულტურაში. მხოლოდ კაპიტალიზმის ბორკილებისაგან განთავისუფლებულ, შემოქმედებითი ენერგიით აღსავსე, თანამედროვეობის ყველაზე მოწინავე იდეების — კომუნიზმის საქმის უანგარო ერთგულ ხალხს ძალუძს შემართება, რომელზეც საუკუნეთა განმავლობაში ოცნებობდნენ კაცობრიობის საუკეთესო წარმომადგენლები.

მ. ვ. კელდიშმა მოიგონა ის დიდი სიძნელენი, რაც უნდა გადალახულიყო კოსმოსურ სივრცეში ადამიანთა გაფრენების განსახორციელებლად. მან ილაპარაკა იმაზე, რომ საჭირო იყო უდიდესი გამბედაობა ადამიანებისა, რომლებიც გაფრენებს ამზადებდნენ, უდიდესი გმირობა ადამიანისა, რომელსაც მიეწერო განეხორციელებინა პირველი რეისი კოსმოსში. მისი უსაზღვრო ერთგულება პარტიისა და ხალხისადმი. ეს ადამიანი იყო პირველი კოსმონავტი მფრინავი იური ალექსის-ძე გაგარინი. ოთხი თვეც არ გასულა, რომ კოსმოსში გაშვებულ იქნა კოსმოსური თანამგზავრი ხომალდი „აღმოსავლეთი-2“, რომელსაც მართავდა კოსმონავტი მფრინავი გერმანე სტეფანეს-ძე ტიტოვი. „აღმოსავლეთმა-2“ გაიფრინა 700.000 კილომეტრზე მეტი, რაც თითქმის ერთიორად აღემატება მანძილს დედამიწიდან მთვარემდე. კოსმოსის კელვაში ახალი უდიდესი მიღწევა იყო მსოფლიოში პირველი ჯგუფური მრავალი დღის ფრენა საბჭოთა კოსმონავტების ანდრიან გრიგოლის-ძე ნიკოლაევის და პავლე რომანის-ძე პოპოვიჩისა.

ორ წელიწადში, აღნიშნა აკადემიკოსმა, მნიშვნელოვნად გაფართოვდა კოსმოსურ გამოკვლევათა მასშტაბი. საბჭოთა მეცნიერები შეიარაღდნენ „კოსმოსის“ სერიის უნაკლო კოსმოსური აპარატებით, რომელთა დახმარებით ხორციელდება იონოსფეროს, დედამიწის მაგნეტიზმის, მზის, კოსმოსური სხივების, დედამიწ-ს ზედა ატმოსფეროს მეცნიერული გამოკვლევის ფართო პროგრამა.

1962 წელს განხორციელდა „კოსმოსის“ სერიის დედამიწის. 12 ხელოვნური თანამგზავრის გაშვება. მაგალითად, თანამგზავრი „კოსმოსი-5“, რომელიც გაშვებულ იქნა 1962 წლის 28 მაისს, უკვე თითქმის წელიწადია განაგრძობს ფრენას და გადმოსცემს დედამიწაზე დიდმნიშვნელოვან მეცნიერულ ინფორმაციას.

1962 წლის 1 ნოემბერს საბჭოთა კავშირში პირველად განხორციელდა ავტომატური საალანეტათშორისო სადგურის გაშვება პლანეტა მარსისაკენ. სადგურმა „მარსი-1“ უკვე გაიარა საალანეტათშორისო სივრცეში 100 მილიონ კილომეტრზე მეტი მანძილი; დამყარებულია შორეული კოსმოსური რადიოკავშირის მსოფლიო რეკორდი.

1963 წლის 2 აპრილს საბჭოთა მეცნიერებმა და ინჟინრებმა განახორციელეს გაშვება ავტომატური სადგურისა „მთვარე-4“, რომელიც ახალ ეტაპს სახავს მთვარის შესწავლაში.

სიტყვა მიეცა სოციალისტური შრომის გმირს, საანგარიშო-გასაანალიზებელი მანქანების ქარხნის ზეინკალს **ბ. ს. ეგოროვს.**

— კოსმონავტიკის დღეს რომ აღვნიშნავთ, — თქვა ორატორმა, — ჩვენ ეტერი გაგარინისა და გერმანე ტიტოვის გვერდით ვხედავთ ანდრიან ნიკოლაევსა და პავლე პოპოვიჩს. სულითა და გულით მივესალმებით ჩვენს სახელოვან გმირ კოსმონავტებს. გულითადად მივესალმებით აგრეთვე ჩვენს საბჭოთა მეცნიერებს, კონსტრუქტორებსა და მუშებს — კოსმოსური ხომალდების შემქმნელთ.

ჩვენი ქარხნის კოლექტივი უშვებს საანგარიშო-გასაანალიზებელ მანქანებს. კარგად გვესმის, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ მანქანებს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში, წარმოების ავტომატიზაციასა და მექანიზაციაში, ნაკლებეფექტიანი შრომისაგან ადამიანთა განთავისუფლებაში.

სიტყვა წარმოთქვა მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის სტუდენტმა **თამარ ხოდაკოვამ.**

— ბედნიერი ვარ, — თქვა მან, — რომ წლად მხვდა დიდი პატივი — დედაქალაქის ახალგაზრდობის სახელით გულთადად მოგილოცოთ თქვენ, ძვირფასო ამხანაგო კოსმონავტებო, მივულოცო მძლავრი კოსმოსური ხომალდების ყველა შემოქმედს, ყველას, ვინც ამ დარბაზში იმყოფება, შესანიშნავი დღესასწაული — კოსმონავტიკის დღე, და გადმოგცეთ გულმხურვალე კომკავშირული სალამი!

ვამაყობთ, რომ ვცხოვრობთ ქვეყანაში, რომელმაც ადამიანს მოუტანა ასეთი დღესასწაული, შრომისა და გმირობის ქვეყანაში, ენთუზიასტთა და გმირთა ქვეყანაში, კომუნიზმის მშენებელთა ქვეყანაში.

მე, განაგრძო თამარ ხოდაკოვამ, მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტში ვსწავლობ, და ძალიან მიყვარს ჩემი მომავალი პროფესია. იგი ჩვენს თვალწინ „კოსმოსური“ პროფესია ხდება. და როცა ვფიქრობ, თუ რა აღმოჩენები მოგველის მთვარეზე, მარსზე, ვენერაზე — სიხარული ფრთები გვესხმის.

— ნება მიბოძეთ სულითა და გულით მადლობა გადავუხადო მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა მთავრობას, თქვენ, დარბაზში მსხდომთ, მთელ ჩვენს ხალხსა და პირადად ძვირფას ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს ყოველივე იმ კარგისათვის, რაც ჩვენთვის, კოსმონავტი მფრინავებისათვის, გაკეთდა. — თქვა თავის გამოსვლაში კოსმონავტმა **ა. გ. ნიკოლაევმა.**

კოსმონავტიკის დღე, რომელსაც დღეს აღვნიშნავთ, შესანიშნავი დღესასწაულია, შრომის გამარჯვებისა და ბუნების ძალებზე ადამიანის გონების გამარჯვების დღესასწაულია. იგი ჩვენმა ეპოქამ — სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვების ეპოქამ წარმოშვა.

თანამგზავრი ხომალდების ჯგუფურმა ფრენამ დამაჯერებლად გვიჩვენა, რომ შესაძლებელია კიდევ უფრო რთული და ხანგრძლივი კოსმოსური გაფრენები როგორც დედამიწის გარშემო ორბიტაზე, ისევე სხვა პლანეტებზეც.

მოვა ჯერი, ხაზგასმით აღნიშნა ორატორმა, და კოსმოხვატი ფეხს დაადგამს მთვარის ზედაპირზეც. დარწმუნებული ვართ, რომ საბჭოთა ადამიანები, რომლებიც გზას უკაფავენ კაცობრიობას კომუნიზმისაკენ, იქნებიან პიონერები ასეთ გფფრენთა განხორციელებაშიც, იქნებიან მორეული სამყაროთა პირველაღმომჩენნი.

ორი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, განაცხადა დასასრულ კოსმონავტმა, რაც პირველი საბჭოთა ადამიანი იქმნა კოსმოსში. ახლა ჩვენ ოთხნი ვართ. გავა რამდენიმე ხანი და თქვენ შეიტყობთ ახალ სახელებს. შეიტყობთ, თუ რა შესანიშნავი ადამიანები აღზარდა ჩვენმა სამშობლომ.

ტრიბუნაზეა მსოფლიოს პირველი კოსმონავტი მფრინავი **იური გაგარინი.** მან თქვა:

— ორი წლის წინათ, როცა ჩვენს პლანეტას ვეუფრებდი კოსმოსური ხომალდის ილუმინატორიდან, გავიფიქრე, იგი არც თუ ისე დიდიაო. მაგრამ ამ ორ წელიწადში, როცა სხვადასხვა ქვეყნები მოვიარე, ახლა შემიძლია ვთქვა: არა, იგი მაინც დიდია, ჩვენი დედამიწა, და ძალიან ბევრი მეგობარი გვყავს ყველგან.

თავის დროზე, განაგრძო იური გაგარინმა, ამბობდნენ, რომ კოსმოსში პირველი გაფრენით საბჭოთა ადამიანმა კვალი გაიყვანა სამყაროს ყამირზე. მართლაც ასე იყო ამ ორი წლის წინათ. მხოლოდ ორი წლის წინათ. ახლა, სამყაროს კიდეკაც რომ ვუწოდოთ ყამირი, შესწორება უნდა შევიტანოთ. ეს გატეხილი ყამირია. თვითონვე განსაჯეთ: ას ოცდაათი კვალი გაიყვანეს ჩვენმა ამხანაგებმა კოსმოსში, დაახლოებით ორასი საათი დაჰყვეს ორბიტებზე. „კოსმოსის“ სერიის 13 თანამგზავრი, ავტომატური საპლანეტათშორისო სადგურები, მთვარის რაკეტები... ყოველივე ეს ყოერს როგორც საზეიმო ჰიმნი თავისუფალი შრომისადმი, საბჭოთა ხალხისადმი, კომუნისტური პარტიისადმი.

ტრიუმფფული გამარჯვებანი კოსმოსში, თქვა კოსმონავტმა, — ჩვენს ხალხს მოაპოვებინა ბრძენმა კომუნისტურმა პარტიამ და მისმა ლენინურმა ცენტრალურმა კომიტეტმა. პარტიამ მოამზადა ყველა საჭირო მატერიალურ-ტექნიკური პირობა კოსმოსის წარმატებითი იერიშისათვის, აღზარდა და შთაგონა ადამიანები, რომელთაც შესწევდათ უნარი განეხორციელებინათ საგმირო საქმენი მშობლიური სამშობლოს სადიდებლად, კომუნიზმის გამარჯვებისათვის! საბჭოთა კავშირმა შესანიშნავი წარმატებანი მოიპოვა კოსმოსის თვისებაში, დიდად გაუსწორო შეერთებულ შტატებს.

ჩვენ, კოსმონავტი მფრინავები, დაუცხრომლად ვემზადებით კიდევ უფრო რთული გაფრენებისათვის, დაძაბულად ვსწავლობთ და ვიწრთობით. გვახარებს და ალგაფრთოვანებს შესანიშნავი საბჭოთა სინამდვილე, ხალხის სიყვარული, კომუნისტური პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის, ჩვენი ძვირფასი ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის მუდმივი ყურადღება და მამობრივი ზრუნვა.

• • •

მარად იცოცხლებს საუკუნეებში საბჭოთა ადამიანების ეს გმირობა, კომუნისტების გმირობა, რომლებმაც გზა გაუკაფეს კაცობრიობას ვარსკვლავეთის სივრცეებში. ყოველთვის დარჩება პლანეტის მატიანეში 1961 წლის 12 აპრილი. დარბაზის თაღებში კვლავ იღერება საბჭოთა კავშირის ჰიმნის დიდებული მელოდია, რომელიც აგვირგვინებს დღევანდელ დღესასწაულს. იგი ეღერს როგორც მოწოდება ახალი გამარჯვებებისადმი კოსმოსში. ახალი მიღწევებისადმი კომუნიზმის მშენებლობაში. (საკდესი).



სიღნაღი. სოფელ მაღაროს კოლმეურნეობაში ამჟამად გაცხოველებით მიმდინარეობს სიმინდის თესვა. წელს „მინდვრის დედოფალი“ აქ დაიკავებს 1.300 ჰექტარს.

სურათზე: სიმინდის თესვა სოფელ მაღაროს კოლმეურნეობაში.

ფოტო ი. მღებრიშვილისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

მევენახის დღე

ლენინგორი. (საკ. კორ.). მევენახეებს პატივს სცემენ ლენინგორის კოლმეურნეობებში. ამის დამადასტურებელი იყო მევენახეთა სალამო, რომელიც ამ დღეებში იკოთის კოლმეურნეობაში მოეწყო. სალამოზე პირველი სიტყვა გამოცდილ მევენახეს კ. გიგაურს მისცეს. მევენახეები უსმენდნენ გამოცდილ კოლმეურნეს, მისგან სწავლობდნენ იმას, თუ როგორ აღწევს იგი ჰექტარზე 150-200 ცენტნერი ყურძნის მოღებას.

ვაზის მოვლის, ვენახების გაშენების საკითხებზე თავიანთი აზრი გამოთქვეს ქსნის ხეობის ცნობილმა მევენახეებმა ა. გვრიტიშვილმა, დ. კუტაშვილმა, გ. მამამთავრიშვილმა და სხვებმა.

გადაწყდა მევენახის დღე ყოველწლიურად გამართონ, ტრადიციად აქციონ იგი.

საგჭოთა მთავრობის დელეგაცია მოსკოვს დაგრუნდა

12 აპრილს ფინეთიდან მოსკოვს დაბრუნდა საბჭოთა მთავრობის დელეგაცია, რომელიც მონაწილეობას ღებულობდა საბჭოთა კავშირ-ფინეთის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების 15 წლისთავის დღესასწაულში. დელეგაციას ხელმძღვანელობდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ნ. კოსიგინი. (საკდესი).

კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის სადარაჯოზე

ბაკო, 11 აპრილი. (საკდესი). პარტიული, საბჭოთა და ადმინისტრაციული ორგანოების ამოცანებს სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის შემდგომი განმტკიცების საქმეში მიეძღვნა რესპუბლიკური აქტივის კრება, რომელიც დღეს გაიმართა. კრებაზე მოიწვია აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა.

მოხსენება გააკეთა აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა პ. მ. ელისტრატოვმა. კრებაზე გამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ი. ტერებილოვი.

ბრუნ დიად საქმეებლოში

ვ. ი. ლენინის დაბადების 93-ე წლისთავისათვის

წიგნები დიდ ლენინზე

ი. სერაბსკი. ლენინი პოლონეთში (თარგმანი პოლონურიდან).

ბროშურა ეძღვნება ვ. ი. ლენინის ცხოვრებასა და მოღვაწეობას პოლონეთში ემიგრაციის წლებში. ბროშურაში დაბეჭდილია საბჭოთა მკითხველისათვის ჯერ კიდევ უცნობი მთელი რიგი ახალი დოკუმენტები და ფაქტები ვ. ი. ლენინის ყოფნის შესახებ პოლონეთში, რომლებიც შეგროვებული და თავმოყრილია პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის არქივებში.

ვემსახუროთ ხალხს, ლენინური პარტიის დიად საქმეს

მხატვართა ყრილობაზე

11 აპრილს საღამოს სხდომაზე მხატვართა ყრილობის დელეგატებმა მოისმინეს სამანდატო კომისიის თავმჯდომარის პ. ლებედევის მოხსენება.

საანგარიშო მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ვ. ქემენოვმა (მოსკოვი), ე. მოისეენკომ (ლენინგრადი), გ. ისმაილოვამ (ყაზახეთი), მ. მანიზერამ (სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტი, მოსკოვი), ი. იკრამოვმა (უზბეკეთი), პ. ნიკიფოროვმა (ბელორუსია) და სხვებმა. (საკდესი).

12 აპრილს დილის სხდომაზე გამოვიდნენ ნ. ამდურახმანოვი (აზერბაიჯანი), ხ. ხუშვასტოვი (ტაჯიკეთი), ვ. რინდინი (მოსკოვი), სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის მდივანი ტ. ხრენიკოვი, დ. ციციშვილი (საქართველო), ა. პლასტოვი (მოსკოვი), კ. როდეზენკოვი (მოსკოვი), სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტი ვ. სეროვი.

ყრილობას მიესალმნენ რუმინელ მხატვართა სახელით აკადემიკოსი იონ ჟალია, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მხატვართა სახელით ჩან ვან კანი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მხატვართა სახელით ხუა ციუნ-უ, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მხატვართა სახელით ლეა გრუნდიგ.

ანასტასი ბ. ბრეჟნევი, ა. ჰ. კირილენკოს, ა. ი. მიკოიანს, დ. ს. პოლიანსკის, ლ. ი. ბრეჟნევს, ა. ა. ბელიაევს, ა. ნ. ტიხონოვს, ა. ა. ანდრეევს, ფ. რ. კოზლოვს, ა. ნ. ალექსეევს, ნ. ვ. პოდგორნის სახელით ასახელებენ ამ ბრძანებულებას ... ეროვნული ეკონომიკის ... ეროვნული ეკონომიკის ... ეროვნული ეკონომიკის

მეგობრობის დროშით!

გუმგერაზი ტრაქტორეგი აზერგაიჯანის მინდვრეგზე



დიდ მინდორზე სწრაფად მიდის ტრაქტორი. რვაკორპუსიანი გუთანი გადმოგრეხილია მიწის. თითქმის სამმეტრიან შავ ზოლს ტოვებს. კიროვის ქარხნის (ქ. ლენინგრადი) ორი მანქანა საზარმოო გამოცდას გადის აზერბაიჯანში.

გამოცდის მანქილზე ორმა „კიროველმა“ გამბის დასათესად მოხნა 400 ჰექტარზე მეტი მიწა ბარდის საზარმოო სამმართველოს კოლმეურნეობა „პარიზის კომუნაში“ და კასუმ-ისმაილოვის საზარმოო სამმართველოს ორჯონიკიძის სახელოგის კოლმეურნეობაში. ახალი მანქანა საგბოთა სოფლის მშრომელებს დიდ დახმარებას გაუწევს სიუხვისათვის ბრძოლაში.

სურათზე: „კიროველი“ სხვა ნაკვეთზე გადადის.

ფოტო **ი. ხალილოვისა** (საქდესის ფოტოქრონიკა).

ამიერკავკასიის რესპუბლიკების ვაჭრობის მუშაკთა შეჯიბრება

10 აპრილს რკინიგზელის სახლში გაიმართა საქართველოს სსრ სახელმწიფო ვაჭრობის მუშაკთა აქტივის კრება აზერბაიჯანისა და სომხეთის ვაჭრობის მუშაკთა წარმომადგენლებთან ერთად, მიძღვნილი „სამი რესპუბლიკის სახელმწიფო ვაჭრობის მუშაკთა სოციალისტური შეჯიბრების გასული წლის შედეგებისა და 1963 წლისათვის ნაკისრი ვალდებულებებისადმი.

უკანასკნელ ხანს ამიერკავკასიის რესპუბლიკებში დიდი მუშაობა შესრულდა, მაგრამ, როგორც აქტივის კრებაზე აღინიშნა, ვაჭრობაში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია. ორატორებმა — საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის მოადგილემ ე. ჩოფიკაშვილმა, აზერბაიჯანის სსრ ვაჭრობის მინისტრის მოადგილემ ვ. კარახმედოვამ, სომხეთის სსრ ვაჭრობის მინისტრის მოადგილემ ცბადალიანმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების განვითარების დონე, ბევრი საწარმოს მუშაობის ხარისხი ჯერ კიდევ არ შეესაბამება შრომითი მზარდ მოთხოვნილებებს. (საქდესი).

მოძმე ქალაქეგი შრომითს ვახტზე

ქუთაისი. (საქდესი). დიდი ხანია გრძელდება სოციალისტური შეჯიბრება სამი მოძმე რესპუბლიკის მეორე სამრეწველო ცენტრების — ქუთაისის, კიროვობადისა და ლენინაკანის შრომელთა შორის. ამას წინათ პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტში გაიმართა პარტიულ-სამეურნეო აქტივის თათბირი, რომელზეც განიხილეს შვიდწლედის მეხუთე წელს ქალაქების საწარმოთა წინაშე დასახული ამოცანები და ერთსულოვნად ცნეს საჭიროდ განაგრძონ მოძმე რესპუბლიკების ქალაქებთან ტრადიციული სოციალისტური შეჯიბრება.

ქუთაისის მშრომელებმა იკისრეს ახალი გადიდებული ვალდებულებანი. მოძმე ქალაქები დგანან შრომითს ვახტზე.

ლიტერატურისა და ხელოვნეგის მუშაკთა თათგირი

ქუთაისი. (საკ. კორ.). აქ გაიმართა ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა საქალაქო თათბირი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად.

თათბირი გახსნა საქართველოს კპ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა **ს. ფხაკაძემ.**

მოხსენება **„შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლებთან პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა შეხვედრების შედეგები და ქალაქის შემოქმედებითი ინტელიგენციის ამოცანები“** გააკეთა საქართველოს კპ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **შ. კობახიძემ.**

მოხსენების გამო კამათში გამოვიდნენ: საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი **დ. კვიცარიძე,** ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრის ხელმძღვანელი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი **აკ. ვასაძე,** მხატვარი **ა. ჩოგოვაძე,** თეატრმცოდნე **ვ. ქუთათელაძე,** პარტიის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე **ვ. ჯაველიძე,** მ. ბალანჩივაძის სახელობის მუსიკალური სასწავლებლის დირექტორი **რ. გუმბერიძე,** არქიტექტორი **გ. თოდაძე,** პოეტი **გ. სამხარაძე,** ქორეოგრაფი **დ. უშვერიძე,** ახალგაზრდა პოეტი **ზ. კუხიანიძე.**



საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მანქანათსამშენებლო ქარხნის საექსპერიმენტო საამქროს უფროსი ნიკოლოზ ლეჟავა (მარჯვნივ) და ქარხნის მთავარი ტექნოლოგი გიორგი ჯანგულოვი ამოწმებენ ჩაის საკრეფი მანქანების კვანძების ურთიერთმორგებას.

ფოტო **შ. ჩხეტიანისა.**

დიდი მშენებლობის ჯკივილები

ჩვენი რესპუბლიკის ჰიდროენერგომშენებლებმა რამდენიმე უნიკალური ჭესი ააგეს, ახალი მიღწევებით გამდიდრეს ჰიდროტექნიკა და საყურადღებო გამოცდილება შესძინეს ენერგეტიკული მშენებლობის თეორიასა და პრაქტიკას.

ორი წლის წინათ საქართველოს სახელოვან ჰიდროენერგომშენებლებს დაევალათ მდინარე ენგურზე ააგონ მსოფლიოში ყველაზე მაღალი უნიკალური თაღოვანი კაშხალი.

ენგურჰესის მშენებლობის მოცულობა ძალზე დიდია. მარტო თაღოვანი კაშხალის, რომლის სიმაღლე სამას მეტრს აღემატება, ასაგებად საჭირო იქნება ჩასასხმელ სამი მილიონი კუბური მეტრი ბეტონი, მაშინ როცა საქართველოში აგებული ყველა ჰიდროელექტროსადგურის ასაგებად დახარჯულია 1,8 მილიონი კუბური მეტრი ბეტონი. მშენებლობაზე შესრულდება 10 მილიონი კუბური მეტრი მიწის სამუშაოები, გაყვანილი იქნება საწნეო გვირაბი, რომლის სიგრძე 17 კილომეტრი იქნება. ჰესის სიმძლავრე 1.600 ათას კილოვატს გადააჭარბებს.

ამ გრანდიოზული სადგურის მშენებლობა დაიწყო 1961 წლის გაზაფხულზე. ჰესის მშენებლობის ფრონტი ყოველწლიურად იზრდება, ახლა იგი რამდენიმე ათეულ კილომეტრზეა გაშლილი.

ბევრი რამ გაკეთეს მშენებლებმა. ძირითად ობიექტებამდე გაყვანილ იქნა კეთილმოწყობილი გზები, რომელთა სიგრძე რამდენიმე ათეულ კილომეტრს აღემატება. დასასრულს უახლოვდება რკინიგზის მშენებლობა ჭუგდიდიდან ჯვარის მიმართულებით, რომელიც დააკავშირებს სადგურს ბაზასთან. აგებულ იქნა ბეტონის ორი ქარხანა, ხე-ტყის სახერხი ქარხანა, მექანიკური სახელოსნო, პურის საცხობი, მრავალი საცხოვრებელი სახლი და სხვ.

მშენებლებმა უდავოდ დიდი მუშაობა გასწიეს ძირითადი სამშენებლო ობიექტების მშენებლობის დასაწყებად. დიდი სიძნელეები გადალახეს, მაგრამ პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ მათს მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი და ხელისშემშლელი მიზეზებია, რომლებიც შავ ლაქად ჩანან საერთო წარმატებათა ფონზე.

ენგურჰესის (მშენებლობის უფროსი ვ. ყაფლაშვილი, მთავარი ინჟინერი ნ. ემხვარი) 1962 წლის მშენებლობის საერთო გეგმა ითვალისწინებდა 5.730 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ჩატარებას, ფაქტიურად შესრულებულია 4.854 ათასი მანეთის სამუშაოები, რაც გეგმის 84,7 პროცენტს შეადგენს.

გეგმის შეუსრულებლობის ძირითადი მიზეზი ის არის, რომ ჯერ კიდევ ყველა სამშენებლო სამმართველოსა და ყველა ობიექტზე დიდია ხელით შრომის პროცენტი, დანერგილი არ არის კომპლექსური ბრიგადების მუშაობის მეთოდი, აკლიათ მექანიზმები და მუშახელი, დაბალია მუშათა კვალიფიკაცია, ცუდად არის მოწყობილი შრომა.

დაინტერესდით, რა ტემპით წარმოებს სამუშაო გვირაბის გაყვანა. ვესტუმრეთ კაშხლის მშენებლობის სამმართველოს, რომელსაც გამოცდილი ინჟინერი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი **გიორგი ფულეისკირი** ხელმძღვანელობს.

აი რა გვიამბო მან:

— გაყვანა სამუშაო გვირაბისა, რომლითაც მდინარე ენგურს მიმართულება უნდა შევუცვალოთ, გავთავისუფლოთ ის არის, რომ **სამშენებლო სამმართველობის ხელმძღვანელობა ძირითადად თბილისში იმყოფება და ადგილზე ოპერატიულად ვერ ხელმძღვანელობს საქმეს.** ტრესტ „საქჰიდროენერგომშენის“ (მმართველი ი. მღებრიშვილი, მთავარი ინჟინერი ვ. ჩუბინიძე) ხელმძღვანელობამ დროა იფიქროს ენგურჰესის მშენებლობის ყველა სამმართველოს ხელმძღვანელობის ერთიანი ცენტრის შექმნისათვის ადგილზე.

ყველა სამშენებლო უბანზე ხელისშემშლელ მიზეზად ასახელებენ ტრანსპორტის ნაკლებობას და უხეირო მუშაობას. აი, ზოგიერთი ფაქტი.

შარშან № 5 ავტოსატრანსპორტო კანტორამ ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 8 მილიონი ტონაკილომეტრისა, ფაქტიურად შეასრულა 6 მილიონ 712 ათასი ტონაკილომეტრი, რაც გეგმის 83 პროცენტს შეადგენს. ასევე გეგმით გათვალისწინებული 1.170 ათასი ტონის ნაცვლად ვადასცილებულია 796 ათასი ტონა. კანტორამ ვერ შეასრულა აგრეთვე ჰირველი კვარტალის დავალება.

ყველაფერი ეს იმით არის გამოწვეული, რომ ავტომეურნეობაში ცუდად არის ორგანიზებული ტექნიკური მომსახურება, ტვირთების გადატანის განაცხადები. მექანიკური სახელოსნო, რომელიც კანტორას აქვს, მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას, სათადარიგო ნაწილები მუდამ საძებარი აქვთ. ამის შედეგია ის, რომ ავტომანქანების საერთო რაოდენობიდან ყოველდღიურად სამუშაოდ გადის მხოლოდ 30 პროცენტი, რაც მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს მშენებელთა მოთხოვნილებას. ავტოსატრანსპორტო კანტორის ცუდ მუშაობას ისიც უწყობს ხელს, რომ კანტორაში დაბალია შრომის დისციპლინა, ხშირია შემთხვევები, როცა მძღოლები 2-3 საათის დაგვიანებით მიდიან სამუშაოდ.

ყველა სხვა ნაკლოვანებებთან ერთად უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ადგილი აქვს დანაშაულებრივ ფაქტებსაც. ზოგიერთ შოფერს ბაზიდან გატანილი საშენი მასალები არ მიაქვს დანიშნულების ადგილას, მას კერძოდ ჰყიდის. მაგალითად, მძღოლებმა ფიფიამ და მარშანიამ 13,9 კუბური მეტრი დახერხილი მასალა არ მიიტანეს მშენებლობაზე. ასევე შოფერმა ცაავამ დანიშნულების ადგილას არ ჩაბარა 141 ცალი შიფერი, მეტონიძემ — 5,2 ტონა ცემენტი, დარახელიძემ 550 ცალი ელექტრონათური. ასეთი ფაქტები სხვაც ბევრია.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ნაკლოვანებანი იმას მოწმობს, რომ მშენებლობაზე სუსტია პარტიული, პროფკავშირული და სამეურნეო კონტროლი.

ენგურჰესის მშენებლობაზე ყველაზე ცუდი მდგომარეობაა მასალების მომარაგებისა და მათი შენახვის მხრივ. ამას ზუგდიდის რკინიგზის სადგურზე მისულისთანავე იგრძნობთ. სადგურის ტერიტორია გავსებულია სხვადასხვა სახის საშენი მასალებით, ისინი ღია ცისქვეშ ყრია და ფუჭდება.

დღემდე დამთავრებული არ არის სადგურიდან ზუგდიდის ბაზამდე რკინიგზის მშენებლობა. სწორედ ამიტომ არის, რომ მშენებლობის მისამართით მიღებული ნასალები სადგურის ტერიტორიაზე იცლება, ვაგონები გადაქცეულია საწყობებად. ტრანსპორტისა და სათანადო ბაზების უქონლობის გამო მშენებლებს დროულად ვერ გაეკვეთ საშენი მასალები, რისთვისაც მშენებლებმა რკინიგზას მარტო მარშან ჯარიმის სახით 68 ათას მანეთზე მეტი გადაუხადეს. მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში ჯარიმებმა 32 ათას მანეთს გადააჭარბა.

რკინიგზის სადგურში ტვირთების თვეობით გაჩერება იმანაც გამოიწვია, რომ ტრესტი „საქჰიდროენერგომშენი“ მშენებლებს მასალებით ამარაგებდა არა საჭიროების მიხედვით, არამედ რაღაც თავისი „განსაკუთრებული“ შეხედულების მიხედვით. ამაზე ნათლად ლაპარაკობს შემდეგი ფაქტი. 1962 წელს მშენებლებმა მიიღეს 5.143 კუბური მეტრი ხე-ტყე, ნაცვლად გათვალისწინებული 2.336 კუბური მეტრისა, ცემენტი — 6.938 ტონა, ნაცვლად 10.288 ტონისა. სწორედ ესეც არის ერთ-ერთი მიზეზი, რომ რამდენიმე თვის წინათ მიღებული მასალები დღესაც რკინიგზის სადგურში ღია ცისქვეშ ყრია.

მშენებლებმა ვერ შეასრულეს საცხოვრებელი სახლების საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 8.000 კვადრატული მეტრისა, საექსპლოატაციოდ გადასცეს 4.251 მეტრი, რაც გეგმის 53 პროცენტს შეადგენს.

ცხადია, შრომის ასეთი ორგანიზაცია არაფრით არ არის გამართლებული, უპირველეს იყო მშენებლებს ერთდროულად ნაკლები რაოდენობით დაეწყოთ სახლების მშენებლობა და არსებული მასალებით უზრუნველეყოთ მათი დამთავრება და საცხოვრებლად გადაცემა.

აღნიშნული მდგომარეობა მიმდინარე წელსაც გრძელდება. დაწყებული სახლების მშენებლობის დასამთავრებლად საჭიროა 994,2 ათასი მანეთის სამუშაოების ჩატარება, გეგმით კი მშენებლობისათვის გათვალისწინებულია 250 ათასი მანეთი. ასევე არ არის საკმარისი გამოყოფილი მასალები. მით უფრო საჭიროა არსებული თანხები და მასალები პირველ რიგში მოახმარონ იმ სახლებს, რომლებიც დამთავრების პროცესშია.

ჯვარხეწში შენდება მუშათა დიდი დაბა, მაგრამ არ იგრძნობა შრომის ის ტემპი, რასაც დიდი ჰესის მშენებლობა მოითხოვს (უბნის უფროსი ვ. ჭარბაძე). აქ შექმნილი მდგომარეობის შესახებ თვით მშენებლებმა თქვეს:

ვ. ბოდდარენკო — გარაჟის ოსტატი. თითქმის ერთი წელია, რაც გარაჟის მშენებლობა დავიწყეთ, მაგრამ დღემდე კედლების ამოყვანაც არ ავიტანეთ. ეს იმით არის გამოწვეული, რომ ადგილზე საკმარისი მასალა — ბეტონი, ცემენტი, ტალახი, ბალიშები — ბეტონებისა და პირველი ორი ქვირიანი ფილების — ბეტონებისა ვერ ვიპოვეთ. ამის გამო, რომ ცემენტი არ ვიყენებ, ბეტონებიც ვერ ვაკეთებ. ბეტონებისა და ბალიშების — ბეტონებისა — ბეტონებისა — ბეტონებისა

პოეტი—ტრიბუნი

დემიან ბედნი

რა იცოდნენ

„1870 წლის 22 აპრილი“

იყო ჩვეულებრივი
დღე ნაცრისფრად მთვლემარე.
სადღაც პოლიციელის
ხმა გრგვინავდა მშექარე.
დეკანოზი მაძღარი
ტაძრის მაღალ თაღებთან
ხატებს მისჩერებოდა,
პირს მალიმალ აღებდა.
ირეოდნენ ბაზარში
ბლომად ვაჭრუკანები
და ბზუოდნენ ისე, ვით
თაფლზე ბუზანკალები;
ახალ მოდებს ეძებდნენ
კვლავ მეშჩანი ქალები.
დუქნებთან კი დილიდან
ყაყანებდნენ მთვრალები.
ბლეხი საკრებულოსთან
იდგა სახედაღრეჯით,
კედელს შემორჩენოდა
„მანიფესტის“ ნაგლეჯი.
ბურლაკები ვიდოდნენ
მტვრით მოსვრილნი ყელამდე.
სალდათები მოედანს
ღრიანცელით თელავდნენ.
იქ ბადრაგი მიჰყავდათ
ნაწამები სტუდენტი.
ეწეოდა კირთების
ულელს მთელი რუსეთი...
ერთი უცებ განათდა
ცა სხივგადაფენილი...
რა იცოდნენ, რომ იმ დღეს
დაიბადა ლენინი!

1927 წლის 22 აპრილი.

თარგმნა შ. ამირანაშვილმა.

დიდი ცეცხლი დიდ გულში ანთიაო, იტყვიან ადამიანის დასახასიათებლად.

მართლაც შეუძლებელია სხვაგვარად დაახასიათო ადამიანი, რომლისთვისაც ბუნებას ნათელკაცური ბუნება მიუმადლებია და ხალხისათვის ზრუნვა მისთვის ფიქრად ჩაუსახავს.

როცა თვალს გადავავლებთ ასეთ რჩეულთა მოღვაწეობას, სიამაყის გრძნობა გვეუფლება. მათ რიცხვში სამაყოდ დამკვიდრებულა საბჭოთა პოეზიის შესანიშნავი მოღვაწე და სამაგალითო მოქალაქე, შშვენიერი იგავ-არაკების ავტორი და სატირიკოსი **დემიან ბედნი.**

ეს ფსეუდონიმი, ცხადია, ბევრს წაუკითხავს საბჭოთა პრესაში და კრებულებში, მაგრამ შესაძლოა ბევრს არ ახსოვს, რომ ამ პოპულარული ავტორის ნამდვილი სახელი და გვარია ეფიმ ალექსის-ძე პრიდვოროვი.

ეფიმ პრიდვოროვი დაიბადა 1883 წელს, ხერსონის გუბერნიის სოფელ გუბოვკაში, ღარიბი გლეხის ოჯახში. ცამეტი წლისა იყო, როცა მშობლებმა კიევის სამხედრო საფერშლო სკოლაში შეიყვანეს, ხოლო სკოლის დამთავრებისთანავე მეფის ჯარში გაიწვიეს. ოთხი წლის სამსახურის შემდეგ დემიან ბედნი თავს აღწევს ჟარისკაცობას და 1904 წელს შედის პეტერბურგის უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, რომელიც წარმატებით დაამთავრა 1909 წელს და მთლიანად ჩაება პოეტურ-ჟურნალისტურ შემოქმედებითს მოღვაწეობაში, რაც უკვე დაწყებული ჰქონდა 1901 წლიდან.

დემიან ბედნის შემოქმედება საბჭოთა ლიტერატურის ისტორიის ერთ-ერთ ბრწყინვალე ფურცელს წარმოადგენს. იგი იყო მებრძოლი პუბლიცისტი პოეტი, ახალი ცხოვრების მქადაგებელი, იდეოლოგიური ფრონტის ჯარისკაცი და სოციალისტური რეალიზმის ერთ-ერთი დამამკვიდრებელი.

დემიან ბედნი, როგორც იტყვიან, ხალხის ცხოვრების წიაღიდან იყო გამოსული, მისი ავ-კარგი მთელი სინამდვილით ესმოდა. ცხოვრების სუსხი და სიმწვავე ბავშვობისა და სიყრმის დღეებიდანვე უგრძნია, გამოუცდია მეფის რუსეთის უსამართლობისა და მშრომელთა უუფლებობის სიმძიმე. ბოქაული, პოლიციელი და მემამფეე თავიანთი მტაცებლური ამაზრზენი სახით მხოლოდ სიძულვილის გრძნობას ზრდიდნენ მის შეგნებაში.

დემიან ბედნის სიჭაბუკე ქარიშხლიან წლებში მიმდინარეობდა. მეფის ცარიზმის ტერორმა, 1905-1907 წლების ბარიკადების შემდეგ რეაოლუციონერთა წინააღმდეგ აღმართულმა სახრჩობელებმა შეურიგებლობის მძვინვარებით გააღვივა დემიანის მეამბოხე სული, და იგი უყოყმანოდ ჩადგა პროლეტარიატის სამსახურში. 1909 წელს ჟურნალ „რუსსკოე ბოგატსტვოში“ გამოაქვეყნა ლექსი „და განვლო წელმა“. ამ ლექსში დემიან ბედნი პროტესტს გამოხატავდა სტოლიპინშჩინის ჯალათების წინააღმდეგ, მოუწოდებდა ხალხს შურისძიებისაკენ:

„მე შეძრწუნებით ველი ყოველი დღის გათენებას, სანამ არ მოვა შურისგება და საზღაური“, — აცხადებდა იგი.

როგორც ზემოხსენებულმა, ისე შემდეგში გამოქვეყნებულმა ნაწარმოებებმა მას სამართლიანად მოუზეიჭა მებრძოლი პოეტის სახელი.

მაგრამ დემიან ბედნის შემოქმედებას ნამდვილი პროლეტარული ხასიათი მაშინ მიეცა, როცა მან ბოლშევიკურ პრესაში დაიწყო რეგულარული მუშაობა; 1911, 1912 წლებში გაზეთ „ზვეზდაში“ დაიბეჭდა მისი მეტად საგულისხმო შინაარსის ლირიკულ-პუბლიცისტური ლექსები და იგავ-არაკები, რომლებითაც, შეიძლება ითქვას, იგი ნამდვილად ჩამოყალიბებულ შემოქმედად მოევლინა მკითხველ საზოგადოებას.

დემიან ბედნის ზეშთაგონებისა და მისი როგორც სახალხო ტრიბუნის დაგვაკაცების დამახასიათებელი იყო ისიც, რომ მან საკუთარი შეისისხლხორცა გაზეთ „ზვეზდაში“ შექმნილი მებრძოლი პუბლიცისტური ატმოსფერო. მან როგორც ბოლშევიკმა აგიტატორმა ულმობელი ბრძოლა გამოუცხადა იმ დროის მწერლობაში გავრცელებულ ეგრეთწოდებულ „დეკადენტობას“, ღირსეულად ჩადგა „პრავდის“ ჩამომყალიბებელთა რიგებში, და როცა ბოლშევიკური პრესის მთავარი ორგანოს „პრავდის“ ფურცლებზე 1914 წლის დასაწყისში 60-მდე მისი შესანიშნავი ლექსი დაიბეჭდა, ავტორმა მკითხველთა საერთო სიყვარული მოიპოვა.

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა უმალვე ყურადღება მიაქცია ახალგაზრდა ავტორს. ამ დროისათვის იდეურად უკვე მთლიანად ჩამოყალიბებული დემიან ბედნი ზეიზეად აქებენებს მძაფრ სატირულ ლექსებს, ფელეტონებსა და იგავ-არაკებს და გამოჩენილი რუსი სატირიკოსების სასახელო გზაზე მტკიცედ დგება, როგორც ბოლშევიკი პოეტი.

6. კრუპსკაიას გადმოცემით ვლადიმერ ილიას-ძე თავიდანვე ღირსეულად აფასებდა დემიან ბედნის ნიჭს და დიდად უყვარდა მისი პუბლიცისტური ლირიკა.

დემიან ბედნი სატირის მრისხანე ოსტატად ითვლებოდა. იგი ზედმიწევნით იცნობდა მოვლენებს, ფაქტებს, როგორც კვალიფიციური მიმმახილველი დროულად აწვდიდა მკითხველს ახალთ-ახალ პოლიტიკურ მოვლენებზე უბრალოდ და ყველასათვის გასაგებად მოთხრობილ სატირულ ფელეტონებს, იგავ-არაკებს და მრისხანე მამხილებელ ლექსებს.

იგი ზედმიწევნით იცნობდა მუშის, გლეხის, ჯარისკაცისა და მშრომელი ინტელიგენციის ბუნებას. მუდამ ცოცხალი შთაბეჭდილების გამომწვევი იყო მისი აზრი და სიტყვა. მისი ლექსი სახალხო სიმღერებში გადადიოდა, ამ სიმღერებით მიდიოდნენ ბრძოლის ველზე წითელგვარდიელები, მუშათა რაზმები, ჯარისკაცები, გამარჯვების რწმენით იბრძოდნენ და იმარჯვებდნენ. ეს ხომ აღფრთოვანების მომტანი მოვლენაა შემოქმედისათვის! გაიხსენეთ სამოქალაქო ომის დროს შექმნილი მისი სიმღერები: „როგორ მაცილებდა მშობელი დედა“, „ჩვენ გავიმარჯვებთ“ და სხვები, ანდა წითელი არმიის მიერ პერეკოპის აღების წინ ფრუნზეს შტაბში დაწერილი სიმღერა: „ბარონ ვრანგელის მანიფესტი“ ან სხვა შთამაგონებელი და წამახალისებელი სიმღერები, რომლებსაც მოისმენთ და არ დაგავიწყდებათ.

იმპერიალისტური ომის დროს, მძვინვარე შოვინისტური განწყობილებების პერიოდში, გორკისთან, მაიაკოვსკისთან და სერგეფმოვიჩთან ერთად ებრძოდა „მეფისა და მამულის“ თაყვანისმცემელი ბურჟუაზიის ყაჩაღური ლოზუნგებს და მშრომელი ხალხის შეგნებაში აღვიძებდა ხვალინდელი რევოლუციის შეგნებას.

დემიან ბედნის ტალანტი მთლიანად გაიფურჩქნა დიდი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ; მისი პოლიტიკური ლირიკა, მისი ყოველდღიურობის ამსახველი საჭირვარამო სატირა და იგავ-არაკი მშრომელთა საყვარელ, საკითხავ მასალად იქცა. მის ნაწარმოებებს გულისხმიერად უსმენდა ახალი ცხოვრების მშენებელი მშრომელი ხალხი.

დიდი სამამულო ომის წლებში დემიან ბედნი უძღვოდა ჩვენი ხალხის ვაჟკაცურ სიმტკიცეს, გამანადგურებელი სატირით სამარცხვინო ბოძზე აკრავდა ფაშისტ ყაჩაღებს და საბჭოთა მებრძოლების ფსიქიკაში ჰეფდა გამარჯვების უეჭველ რწმენას. „ჩვენ დავამარცხებთ ვერაგს, მე მჯერა ათასწლეულიერწმენის სიმტკიცით“, ამბობდა იგი.

საბჭოთა პოეტებიდან დემიან ბედნის პირველს მიენიჭა მთავრობის მაღალი ჯილდო — საბრძოლო წითელი დროშის ორდენი, ხოლო 1933 წელს იგი დაჯილდოებულ იქნა ლენინის ორდენით!

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამხანაგმა ნიკიტა სერგეს-ძე ხრუშჩოვმა, რომელსაც კარგად ახსოვს დემიან ბედნის დიდი ღვაწლი და დამსახურება საბჭოთა ლიტერატურის წინაშე, ჯერ კიდევ 1961 წლის დეკემბერში ყაზახეთისა და ცელინოგოროდის სოფლის მეურნეობის მუშაკთა თათბირზე გაახსენა თათბირის მონაწილეებს დემიან ბედნი, როგორც დღეანდლინის ამოცანათა შესანიშნავად ამსახველი და ხაზი გაუსვა მის აღმზრდელობითის შემოქმედებას.

ნ. ს. ხრუშჩოვმა ხაზი გაუსვა დემიან ბედნის დიდ დამსახურებას აგრეთვე მიმდინარე წლის 8 მარტს მოსკოვში პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა შეხვედრაზე ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებთან:

„გაიხსენეთ, თუ თავის დროზე როგორ მიიღო ჩვენმა ხალხმა იარაღად დემიან ბედნის პოეზია. სამოქალაქო ომის წლებში, როცა საბჭოთა ხალხი მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ გაჯიბრებულ ბრძოლაში იცავდა მსოფლიოში პირველ მუშათა და გლეხთა სოციალისტურ სახელმწიფოს, დემიან ბედნის სიმღერებით მიდიოდნენ ბრძოლაში წითელგვარდიელებიც, წითელარმიელებიც, პარტიზანებიც. ეს სიმღერები გასაგები იყო ყველასათვის, გასაგები იყო თვითეულისათვის, უწიგნური გლეხებისთვისაც კი, რომლებიც წითელი არმიის რიგებში იყვნენ.

იმ დროს ყველაზე პოპულარულ სიმღერაში „როგორ მაცილებდა მშობელი დედა“ აღბეჭდილია ხალხის ფიქრები. პოეტი რევოლუციისათვის მებრძოლთა საბრძოლო მწყობრში იყო და მთელი თავისი უდიდესი ნიჭი მოახმარა ექსპლოატატორთა უღლისაგან მშრომელთა განთავისუფლების დიად საქმეს“.

და ახლა, შესანიშნავი საბჭოთა პოეტისა და სატირიკოსის დემიან ბედნის დაბადების 80 წლისთავის დღეს, ამ პატარა მონათხრობით არ შეგვიძლია დიდი სიყვარულით არ გავიხსენოთ ხალხის გულმართალი ტრიბუნის ღვაწლი და დამსახურება.

სიკო ფაშალიშვილი.

საერთაშორისო
ჟურნალისტთა
ფედერაციის
ცნობილი
ჟურნალისტი

კვამლის ფარდა გაფანტულია

ვარშავა, 11 აპრილი. (საკდესი). საბჭოთა მთავრობის ნოტა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი დღევანდელი პოლონური გაზეთების კომენტარების ძირითადი თემაა. გაზეთი „ტრიბუნა ლუდუ“ ხაზს უსვამს, რომ ნატოს გაერთიანებული ატომური ძალების შექმნის გეგმები ძალის პოზიციის კარგად ცნობილი პოლიტიკის გამოვლინებაა.

გაზეთი „ეიცე ვარშავი“ ხაზს უსვამს, რომ საბჭოთა მთავრობამ თავისი ნოტით გაფანტა კვამლის ფარდა, რომელიც დასავლეთის ქვეყნებმა ოსტატურად შექმნეს და ყურადღება მიაპყრო საშიშროებას, რომელიც გამომდინარეობს დასავლეთის ახლანდელი პოლიტიკიდან ატომური იარაღის დარგში.

საპადრისი პასუხი ფაშისტებს

რომი, 11 აპრილი. (საკდესი). პოლიციელთა და კარაბინერთა რამდენიმე ასეული გამოიძახეს ლივორნოდან და ფლორენციიდან ქალაქ კარარაში, რომელიც ცნობილია თავისი ანტიფაშისტური ტრადიციებით. მიზეზი „წესრიგის დაცვის“ ძალების ესოდენ უჩვეულო თავმოყრისა იყო მორიგი წინასაარჩევნო მიტინგი, რომლის მოწყობასაც აპირებდა ნეოფაშისტური პარტია „იტალიის სოციალური მოძრაობა“. მაგრამ პოლიციელებს, რომლებმაც რკალი შემოარტყეს საქალაქო მოედანს ამ თავყრილობის დაწყებამდე ჯერ კიდევ ორი საათით ადრე, არც კი უბილავთ მისი მონაწილეები, რომელთა დაცვაც დავალებული ჰქონდათ. კარაბინერთა დაცვით მიტინგზე გამოცხადდა ნეოფაშისტთა უბადრუკი ჯგუფი და ისიც „შტატის ორატორები“. მათ სიტყვები წარმოთქვეს ცარიელ მოედანზე. სამაგიეროდ პოლიციის კორდონების უკანა მხრიდან მოედანზე ისმოდა კარარის მცხოვრებთა ხმამაღალი სტვენა. ბოლოს და ბოლოს ყველაზე მომთმენებსაც მოსწყინდათ ეს სპექტაკლი, მათ გაარღვიეს პოლიციის რკალი და გაქცეს ფაშისტი ორატორები.

ჯარგედია აფლანჯიკაში

ნიუ-იორკი, 11 აპრილი. (საკდესი). ატომური წყალქვეშა ნავი „ტრეშერი“, რომელიც დაკარგული ჯვეგონა ატლანტის ოკეანეში გამოცდის დროს ღრმა წყალში ჩაშვების შემდეგ 220 მილზე ბოსტონის აღმოსავლეთით, „მართლაც დაკარგულია“, — განაცხადა დღეს პრეს-კონფერენციაზე პენტაგონში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების შტაბის უფროსმა ადმირალმა ჯორჯ ანდერსონმა.

ამერიკის სენატის საიდუმლო სხდომა

ვაშინგტონი, 12 აპრილი. (საკდესი). იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტო იუწყება: გუშინ ამერიკის სენატორები ამ უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში პირველად შეიკრიბნენ დახურულ დარბაზში, რათა საიდუმლო სხდომაზე განეხილათ ის საკითხი, რომ „საჭიროა დაჩქარდეს რაკეტის საწინააღმდეგო რაკეტების განვითარება“.

სენატორმა ტერმონდმა განაცხადა, რომ მას აქვს მონაცემები, რომლებიც მოწმობენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები შეიძლება ამ დარგში ახალი „ჩამორჩენის“ ფაქტის წინაშე აღმოჩნდნენ.

კომუნისტი
მე-3 გვერდი, შაბათი,
13 აპრილი, 1963 წ.

პატივისცემის ნიშნად...

პარიზი, 12 აპრილი. (საკდესი). გუშინ საბჭოთა კავშირის საფრანგეთის საელჩოში გაიმართა ცერემონია, რომელზეც სსრ კავშირის ელჩს საფრანგეთში ს. ა. ვინოგრადოვს გადაეცა საფრანგეთის ასტრონავტიკული და კოსმოსური კვლევის ხელშემწყობი ასოციაციის მედალი, რომლითაც დაჯილდოებულია პირველი საბჭოთა კოსმონავტი მფრინავი იური გაგარინი. ეს მედალი დაწესდა ადამიანის გონების შესანიშნავი მიღწევის — კოსმოსში გაფრენის წლისთავთან დაკავშირებით.

მედალი რომ გადასცა, ასოციაციის თავმჯდომარემ ჟან-დომენიკ ვენტურინიმ თქვა: „ამ დღეს, ჩვენი ეპოქის შესანიშნავი გმირობის — ი. გაგარინის კოსმოსური ფრენის მეორე წლისთავის წინ, ჩვენს ასოციაციას დიდ პატივად მიაჩნია, რომ აქვს შესაძლებლობა გამოთქვას თქვენს წინაშე, ბატონო ელჩო, აღტაცების გრძნობა ი. გაგარინის ამ გმირობის გამო, რომელმაც აღაფრთოვანა საფრანგეთი, აღაფრთოვანა მთელი მსოფლიო“.

ვენტურინიმ აღნიშნა, რომ ახლა კოსმოსში წარმოუბენ ორი დიდი სახელმწიფოს — სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების შეჯიბრება, და გამოთქვა იმედი, რომ ეს შეჯიბრება გადაიქცევა ნაყოფიერ თანამშრომლობად მსოფლიოს ყველა ხალხის საკეთილდღეოდ. ვენტურინი შეეხო საბჭოთა კავშირის სხვა წარმატებებს კოსმოსის ათვისებაში და გამოთქვა რწმენა, რომ საბჭოთა კავშირი კვლავაც წარმატებით გაკაფავს გზას უკვლევ კოსმოსურ სივრცეში.

ნება მიბოძეთ, ბატონო ელჩო, მოგართვათ მედალი, რომელიც ჩვენმა ასოციაციამ დააწესა იური გაგარინის გმირობის აღსანიშნავად. მთელ ფრანგ ხალხთან ერთად ვიმედოვნებთ, რომ ი. გაგარინი და ვ. ტიტოვი გვეწვევიან პარიზში 1963 წლის ოქტომბერში.

ამ სიტყვებით გადასცა ვენტურინიმ საბჭოთა ელჩს ასოციაციის მედალი. მედლის პირზე გამოსახულია ადამიანი, რომელიც დედამიწიდან ნაბიჯს დგამს კოსმოსში, ხოლო უკანა მხარეზე გამოკვეთილია სიტყვები: „დიდება იური გაგარინს — პირველ კოსმონავტს. ასტრონავტიკული და კოსმოსური კვლევის ხელშემწყობი ასოციაციისაგან“.

საპასუხო სიტყვაში ს. ა. ვინოგრადოვმა გულთბილი მადლობა გადაუხადა ასოციაციას და გამოთქვა აზრი, რომ ეს აქტი ხელს შეუწყობს საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებას.

ცერემონიას დაესწრნენ თვალსაჩინო მეცნიერები, ინჟინრები და საფრანგეთის საზოგადოებრიობის, პრესის, რადიოსა და ტელევიზიის წარმომადგენლები.

ვეხვედრა აპროპოლის გმირთან

ლონდონი, 11 აპრილი. საკდესის კორესპონდენტი ე. კორეშევი იტყობინება:

ათას ხუთასზე მეტი კაცი მოვიდა გუშინ ბერძენი ხალხის გმირთან მანოლის გლეზოსთან შეხვედრაზე, რომელიც ბერძენ პოლიტიკურ პატიმართა ამნისტიის კომიტეტმა მოაწყო ლონდონის სენტ-პანკრასის რაიონის მუნიციპალური საბჭოს დარბაზში.

მამაც პატრიოტს მიესალმნენ ლონდონის პროფკავშირთა და ინგლისში არსებულ საბერძნეთის ორგანიზაციათა წარმომადგენლები, ცნობილი ინგლისელი მწერალი ჯეიმს ოლდრიჯი, პარლამენტის წევრი ლიბორისტი ლესლი პლამერი და სხვები.

მანოლის გლეზოსმა ილაპარაკა წინააღმდეგობის 1.100 გმირის ტრაგიკული ბედის შესახებ, რომლებიც ჯერ კიდევ იტანჯებიან საპყრობილეებში. საბერძნეთის რეაქციამ, რომელიც სასტიკად დევნის ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლებს, ამავე დროს გაათავისუფლა ყველა სამხედრო დამნაშავე, არც ერთი მათგანი არ დაუსჯია სიკვდილით და არ ჩაუსვამს საპყრობილეში.

კრებამ უდიდესი აღფრთოვანებით მიიღო რეზოლუცია, რომელიც ლესლი პლამერმა შეიტანა. რეზოლუცია მოუწოდებს საბერძნეთის ხელისუფლებს გაათავისუფლონ საბერძნეთის ყველა პოლიტიკური პატიმარი.

ცეილონი. მას შემდეგ, რაც ამერიკის ნავთობის კომპანიების საკუთრების ნაწილი ცეილონის ნავთობის კორპორაციას გადაეცა, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ გადაწყვიტა დახმარება შეუწყვიტოს ცეილონს.

მთელ კუნძულს გადაუარა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მოქმედების წინააღმდეგ საპროტესტო მიტინგებისა და დემონსტრაციების ტალღამ.

სურათზე: დემონსტრაცია კოლომბოში. ფოტო სინხუა-საკდესისა.

ტელეგრაფი გვაცნობებს

☐ **მალის** რესპუბლიკის დედაქალაქ ბამაკოში დაიწყო საბჭოთა კავშირ-მალის მოლაპარაკება ამ ორი ქვეყნის ეკონომიური და სავაჭრო თანამშრომლობის საკითხებზე. საბჭოთა კავშირის დელეგაციას მოლაპარაკებაში მეთაურობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ს. ა. სკაჩკოვი, მალის დელეგაციას — იუსტიციის მინისტრი მადეირა კეიტა.

☐ **კუბის** მსოფლიოს ხალხთა მეგობრობის ინსტიტუტმა მოაწყო საერთაშორისო კონკურსი საუკეთესო ფოტოსურათის გამოსავლინებლად. კონკურსის თემაა „ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ“. წარმოდგენილი იყო 572 ფოტოსურათი მსოფლიოს 20 ქვეყნიდან. მათ შორის, ვინც პრემია დაიმსახურა, არის საბჭოთა ფოტოგრაფი ვ. კალმიკოვი. კონკურსის პირობების შესაბამისად, გამარჯვებულნი ჯილდოვდებიან 30 დღის მოგზაურობით კუბაში.

☐ **რანჩის** მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხანასა და დურგაპურის სამთოსაშახტო მოწყობილობის ქარხანაში (რომლებიც საბჭოთა კავშირის დახმარებით შენდება) მომუშავე ინდოელ სპეციალისტთა ჯგუფი მოსკოვს გამოფრინდა, რათა ერთი წლის პრაქტიკა გაიაროს საბჭოთა კავშირში.

☐ **საფრანგეთის** მთავრობას განზრახული აქვს მისცეს დიქტატორ ფრანკოს კრედიტი 150 მილიონი დოლარის ოდენობით. ეს კრედიტი, წერს გაზეთი „ლიბერასიონი“, ხელს შეუწყობს საზიზღარი ფრანკისტული რეჟიმის განმტკიცებასა და გააკეთებინებს მის საიდუმლო პოლიციას, რომელიც დემოკრატებს დევნის. (საკდესი).

ფიდელ კასტროს გამოსვლა

ჰავანა, 11 აპრილი. (საკდესი). ჰავანის უდიდეს თეატრში, რომელიც ჩაპლინის სახელს ატარებს, გუშინ საღამოს ექვსი ათასი კაცი შეიკრიბა. აქ თავი მოიყარეს ჰავანის პროვინციის რევოლუციური მომზადების სკოლების კურსდამთავრებულებმა და მოხალისე მასწავლებლებმა, რომლებიც კუბის ყველა კუთხიდან ჩამოვიდნენ დედაქალაქში თავიანთ ყრილობაზე.

შეკრებილთა წინაშე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა პრემიერ-მინისტრმა ფიდელ კასტრომ. იგი შეეხო იმ ამოცანებს, რომ ახალგაზრდა თაობა აღიზარდოს მარქსიზმ-ლენინიზმის სულისკვეთებით. კასტრომ აღნიშნა, რომ თითოეული რევოლუციონერი ღრმად უნდა დაეუფლოს მარქსისტულ-ლენინურ თეორიასა და პრაქტიკას, რათა სწორად ესმოდეს საზოგადოებრივი მოვლენები და ამბები და სეფილებ ინფორმაციებ. ინფორმაციებ. ინფორმაციებ.

ახალი ამბები

უყურმილო ტელეფონის აპარატი

ფოთი. კიდევ ერთი თვითნაკეთი ორიგინალური აპარატი შეიქმნა კოლხიდის ზღვისპირა ქალაქში. მისი ავტორია ბავშვთა ტექნიკური სადგურის დირექტორი ზურაბ ჩიქოვანი, რომელმაც მთელი წლის განმავლობაში დაძაბული მუშაობის შემდეგ შექმნა უყურმილო რადიოფიცირებული ტელეფონის აპარატი.

— ჩემი მუშაობის პირველი ნაყოფი იყო, — განაცხადა საუბარში ზ. ჩიქოვანმა, — ახალი აპარატის სქემა. მის საფუძველზე შეეუდექი მუშაობას. ჩვეულებრივი რადიოდინამიკი შევცვალე ბატარა გაბარიტიანი რადიოთი „დმ-2“.

საგასტროლოდ აფხაზეთში

სოხუმი. შავი ზღვის ფლოტის სეგასტოპოლის დრამატული თეატრისათვის ტრადიციად იქცა ყოველწლიური გასტროლები აფხაზეთში.

ამ დღეებში სოხუმს ეწვევნენ და აფხაზეთის სახელმწიფო ფილარმონიის საზაფხულო თეატრის შენობაში გასტროლები დაიწყეს სევასტოპოლელმა მსახიობებმა. თეატრმა თავისი გასტროლები დაიწყო სპექტაკლით „ვივა კუბა“. ეს გმირული დრამა თეატრის კოლექტივმა მოამზადა დრამატურგ ა. შერვაშიძესთან ერთად. სპექტაკლი მაყურებელმა გულთბილად მიიღო.



თეატრის კოლექტივი სოხუმელებს უჩვენებს აგრეთვე ა. სალინსკის „მედოლეს“, ა. კრასოვსკის „გაზაფხული სახბორეში“, მ. გორკის დრამას „მოხუცი“, ლოპე დე ვეგას „ძაღლი თივაზე“ და სხვ.

გ. კუშკარეული.

მგზავრობა საკურორტო სეზონისათვის

ბორჯომი. (საკ. კორ.). ყოველწლიურად დიდძალ დამსვენებელს იზიდავს ბორჯომის თვალწარმტაცი ხეობა. აქ ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან ჩამოდიან დასასვენებლად. მალე ახალი საკურორტო სეზონი დაიწყება. ბორჯომის ჯგუფის კურორტები დაჩქარებით ემზადებიან დამსვენებელთა შესახვედრად.

სანატორიუმ „ლიკანში“ შენდება მზისა და ჰაერის აბაზანების მისაღები 80-საწოლიანი აეროსოლარიუმი. აქვე ეწყობა სამკურნალო ბილიკი — ტერენკური. დამთავრდა ახალი წყალსადენის მშენებლობა.

დიდი სარეკონსტრუქციო-სარემონტო სამუშაოები წარმოებს სანატორიუმ „ფიროზაში“. მიმდინარეობს კვების ბლოკისა და აეროსოლარიუმის. რეკონსტრუქცია. პლატოს დასასვენებელ სახლში შენდება კვების ახალი ბლოკი.

ახალი კომბინატი

ჭიათურა. (საკ. კორ.). კალინინის სახელობის მაღაროში დამთავრდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი.

კაპიტალური ნაგებობის მეორე სართულზე მოთავსებულია მაღაროს დირექცია, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები; პირველ სართულზე — მუშათა სასადილო-მაღაზია, საექიმო პუნქტი, ფეხსაცმლის შემკეთებელი და ტანსაცმლის სამკერვალო სახელოსნოები, საპარიკმახერო და სხვ.

„მოსკვიჩი“ — ლატარიის ბილეთით

ტყიბული. (საკ. კორ.). ქალაქის ქუჩებში გამოჩნდა კიდევ ერთი ახალი მსუბუქი ავტომანქანა — „მოსკვიჩი“. იგი მეორე გამოშვების ლატარიის 30-კაპიკიანი ბილეთით მოიგო ლენინის სახელობის შახტის მეხუთე საექსკლატაციო უბნის ამფეთქებელმა ნილ გალიმზიანოვმა.

ნ. გალიმზიანოვისათვის ეს პირველი მოგება როდია. შარშან მას იღლიან ბილეთს ხვდა 170 მანეთის ღირებულების ტელევიზორი.

რეპორტაჟი • ცნობები • ფაქტები • სპორტული ქრონიკა

ოქტომბრის ქარცეცხლში ნაფიცი ძმობა

წერილი რედაქციას

დიდი სამამულო ომის წლებში მე ვხარდლობდი. პარტიზანული რაზმების შენაერთს უკრაინის სსრ ხმელნიცკის ოლქში. ჩვენი პარტიზანული ოჯახი დიდი და მრავალეროვანი იყო. პარტიზანთა შორის ბევრნი იყვნენ მზიური საქართველოს შვილებიც.

დიდი ხანია მინდოდა მენახა მშვენიერი საქართველო, მომეძებნა ჩემი მებრძოლი ამხანაგები და ზოგიერთ მათგანს მაინც შევხვედროდი.

თითქმის ორი ათეული წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ომის უკანასკნელი ზალვები მიწყდა და საბჭოთა ადამიანები მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას შეუდგნენ. მაგრამ ყოფილ მებრძოლ ამხანაგებს ახსოვთ ქართველი მეგობრები, გულთბილად იგონებენ მათ და არასოდეს არ დავივიწყებენ იმათ, ვინც სამშობლოს უმძიმესი განსაცდელის ჟამს უნაწილებდა მათ უკანასკნელ ნატეხ პურს. უკანასკნელ შეხვედვა წეკოს...

გიორგი ბაკაუს-ძე ნარსია — ცხაკაიას რაიონის საშუალო სკოლის დირექტორი, 1940 წელს წითელი არმიის რიგებში გაიწვიეს. სამხედრო სამსახურს გადიოდა უკრაინაში, ქალაქ ვინიცაში, ხოლო 1941 წელს მისი ნაწილი გადაუვანილ იქნა ქალაქ ბროდში, დაიწყო დიდი სამამულო ომი.

წითელი არმია მტრის ძალებს ჭანცავდა და ბრძოლებით იხევდა უკან ჩვენი ქვეყნის სიღრმეში. საარტილერიო ბატარია, რომელშიც ნარსია მსახურობდა, თავისი მარჯვე ცეცლით დიდ ზიანს აყენებდა მტერს. პირდაპირი დამიზნებით არაერთხელ გაუნადგურებია მტრის ტანკები და კარტერით გაუფანტავს ტანკების საფარქვეშ მომავალი ქვეითი ჯარის იერიშები.

ასეთი შეუპოვარი ბრძოლებით მოვიდა ნარსია პოლტავამდე, სადაც „იუნკერსების“ მორიგი თავდასხმისა და დაბომბვის დროს მძიმედ დაიჭრა და ქალაქ სოჭის ჰოსპიტალში გაიგზავნა. ჰოსპიტალში მკურნალობის შემდეგ ნარსია როსტოვის დასაცავად გაგზავნეს.

როსტოვისათვის გაფთრებული ბრძოლები იყო გაჩაღებული. ქალაქი ხელიდან ხელში გადადიოდა. სამხედრო ნაწილი, რომელშიც ნარსია მსახურობდა, გარემოცვაში მოჰყვა, ხოლო მძიმედ დაჭრილი ნარსია გრძნობადაკარგული ტყვედ ჩავარდა.

დაიწყო საშინელი ცხოვრება ტყვეობაში, დამქანცავი ხეტიალი ტაგანროგის, პროსკუროვის, ხროლინის ბანაკებში. უკვე გამოჯანსაღების გზაზე მდგომი, იგი დახურული ვაგონით გადაიყვანეს ქალაქ ინიასლავლში, სადაც ეკლესიი მავთულით შემოკრული ბანაკში მოათავსეს. ნარსიას ჭრილობა მოუშუშდა, მაგრამ ტყვეობის გამო სულიერი ტკივილი ტანჯავდა. იგი ოცნებობდა იმ დღეზე, როცა ტყვეობას თავს დაადწევდა. მაგრამ მტერი ფხიზელი, სასტიკი და ვერაგია. მეტად ფრთხილი და მოსაზრებული უნდა ყოფილიყავი, რომ მოგედუნებინა მტრის სიფხიზლე და ვერ შეემჩნიეთ გეხტაპოს აგენტებს, რომლებსაც ტყვეებთან შეგზავნიდნენ ხოლმე.

იზიასლავლის ბანაკში ტყვეთა შორის ნარსია შეხვდა თბილისელ ექიმ გიორგი აბუთიძეს, მასწავლებელ გრიგოლ კიკვაძეს, კომუნისტ ექიმს ვალერიან ბერიძეს და სხვა თანამოაზრე ტყვეებს. ყველანი სხვადასხვა გუნდებში, სხვადასხვა ბარაკებში იყვნენ, მაგრამ ერთმანეთთან მჭიდრო კავშირი დაამყარეს.

ერთხელ ბანაკში ხმა გავრცელდა, იზიასლავლის მახლობლად ტყეებში საბჭოთა პარტიზანები მოქმედებენო. ნარსიამ და აბუთიძემ მოიფიქრეს იატაკქვეშა ორგანიზაციის შექმნისა და ბარაკებსა და გარესამყაროს შორის კავშირის დამყარების გეგმა.

ექიმ აბუთიძეს, ისევე როგორც სხვა ექიმებს, ბანაკის უფროსები სხვადასხვა სამედიცინო-სანიტარულ სამუშაოებზე იყენებდნენ ბანაკის შიგნით და ბანაკის მცველებს შორისაც კი. მას პერიოდულად გზავნიდნენ ხოლმე ქალაქის კომენდატურის განკარგულებაში. რათა სანიტარული სამუშაოები შეესრულებინა ქალაქში. ქალაქში ყოფნისას აბუთიძე გაეცნო ერთ ადგილობრივ მასწავლებელ ქალს, რომლის მეშვეობითაც დაუკავშირდა იზიასლავლის საბჭოთა იატაკქვეშა ჯგუფს.

მალე, ქალაქში ყოფნისას, ექიმმა აბუთიძემ მორიგი შეხვედრის დროს მასწავლებლისაგან მიიღო ეკლესიი მავთულის გასაჭრელი მაკრატელი და დასაკავშირებელი ბინის მისამართი. მაკრატელი აბუთიძემ მაზარის ქვეშ დამალა, ბანაკში შეიტანა და ნარსიას გადასცა. ახლა ბანაკში დაიწყეს ენერგიული მზადება გასაქცევად. 1942 წლის ზაფხულის ბოლოს, ბანაკის მცველთა ქცევა რომ შეისწავლა, ნარსიამ გამოიყენა წვიმიანი ბნელი ღამე. გაჭრა სავალი მავთულხლართში, და ამ გზით უხმაუროდ გაქცევა მოასწრო 200-მდე სამხედრო ტყვემ. ეს ძალიან მარჯვედ გაკეთდა. ფაშისტებმა მხოლოდ ყარაულის მორიგი შეცვლისას შეამჩნიეს შებოჭილი და პირში ხელსახოცჩატენილი გუშაგი და ატეხეს განგაში, რის შემდეგაც მდევრები გაგზავნეს გაქცეულთა დასაჭერად. გერმანელთა რაზმს მეძებარი ძაღლები ჰყავდა გაქცეულთა კვალის მისაგნებად. გაიფთრებული ფაშისტები დაეწიენ გაქცეულთა ნაწილს, რომლებსაც ტყემდე ვერ მიეღწიათ, და ავტომატების სროლა აუტეხეს მათ. ნარსიამ, 60 კაცისაგან შემდგარ ჯგუფთან ერთად, თავი შეაფარა ტყეს, სადაც მალე შეხვდნენ მიხაილოვის სახელობის რაზმის პარტიზანებს.

გერმანელები რამდენიმე დიდ რაზმად ტყეში გავიდნენ და პარტიზანების დევნას შეუდგნენ. რამდენიმე დღეს ტყეში სისხლისმღვრელი ბრძოლები იყო. პარტიზანებმა ალყა გაარღვიეს და წავიდნენ ჩრდილოეთით შეაღოტკასაკენ. შემდეგ კი — ბელორუსიის ტყეებში.

დადგა 1942-1943 წლის სუსხიანი ზამთარი. დიდი თოვლი მოვიდა, ძლიერი უინვები დაიკავა, გზები ნამქერებით დაიფარა. პარტიზანებმა გაიჩინეს ცხენები, ჯგუფი ნარსიას ხელმძღვანელობით, როგორც ყველაზე გამოცდილი, ნალმებითა და საბრძოლო მასალებით აღჭურვეს, დავავალე გადაეჭრა ოლევსკის რკინიგზა, რომელიც რაზმიდან 80 კილომეტრზე იყო. ამფეთქებელთა ჯგუფმა ნარსიას ხელმძღვანელობით დღე გაუმწარა ამ გზის მცველებს. გერმანელები ცოფდებოდნენ. ყოველ ღამეს რკინიგზაზე მატარებლები ფეთქდებოდა.

ერთხელ მტრის ეშელონის მარჯვედ აფეთქების შემდეგ სადგურ რაკიტნოს ახლოს, როცა ჯგუფი თავისი ბაზისაკენ მიდიოდა, დამსჯელმა რაზმმა მიაგნო ამფეთქებელთა ჯგუფის კვალს, გარს შემოერტყა მას და უკანდასახვეი გზა გადაუჭრა. გაიმართა უთანასწორო ბრძოლა. ამ ბრძოლაში მძიმედ დაიჭრა თვითონ მეთაური ნარსიაც. მძიმედ დაჭრილები სანიღბავ ხალათებზე დაწვინეს და თოვლზე თრევით მიიყვანეს ტყემდე. მეორე დღეს (ეს იყო 1943 წლის 18 თებერვალს) ისინი. მშიერნი და დატანჯულნი, შეხვდნენ კოტოვსკის სახელობის რაზმის პარტიზანთა მზვერავ ჯგუფს. კოტოვსკელებმა მათ დახმარება აღმოუჩინეს, დაჭრილები და ავადმყოფები კი თავიანთ სანიტარულ ნაწილში წაიყვანეს. მას შემდეგ გორგი ნარსიასთან კავშირი დავკარგე. შემდეგში ჩვენს მიხაილოვის სახელობის რაზმში ხმამ მოაღწია, ნარსიას ამფეთქებელთა ჯგუფი ჩასაფრებულ გერმანელებს წააწყდა და ღამის ბრძოლაში ბევრი გერმანელი და პარტიზანი დაიხოცა. რაკიტნოს რაიონში ამ ჯგუფის პარტიზანები გმირულად დაღუპენო.

როგორც უფრო გვიან გამოირკვა, საქმე ასე როდი იყო. გიორგი ბაკუს-ძე ნარსია გამოჯანსაღების შემდეგ ამფეთქებელთა ჯგუფის ხელმძღვანელი იყო კოტოვსკის სახელობის პარტიზანულ რაზმში და იქ განაგრძობდა გერმანელთა კომუნიკაციების ზურგის განადგურებას. 1943 წლის 17 სექტემბერს ნარსიამ თავისი ჯგუფით. პარტიზანული რაზმის სარდლობის დავალებით, ქალაქ რაკიტნოში ააფეთქა მტრის საჭურველისა და საბრძოლო ჭონების საწყობი. 10 ოქტომბერს მან ააფეთქა რკინიგზის ხიდი ქალაქებს ოლევსკსა და რაკიტნოს შუა. ნარსიამ ხრამში გადაჩეხა მტრის სამი ეშელონი და ამასთან მოსპო 3 ორთქლმავალი, 25 ვაგონი, 50 საზიდარი, 35 ცხენი, 4 თვითმავალი ქვემეხი და 150 ფაშისტი ქალაქ სარნის ახლოს. ამისათვის ნარსია წარდგენილ იქნა ლენინის ორდენზე.

მას შემდეგ, რაც პარტიზანები საბჭოთა არმიას შეუერთდნენ, ნარსია კვლავ დაინიშნა ბატარიის მეთაურად და ბრძოლებით მივიდა ელბამდე. მონაწილეობდა საბჭოთა ჯარების მიერ ბერლინის აღებაში.

20 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მე უკანასკნელად, საბრძოლო დავალებაზე გაგზავნის წინ, შეპეტოვკის ტყეში ვნახე კაპიტანი ნარსია. იგი მაშინ ტანადი, ხალისიანი, გაბედული, შავულვაშიანი ვაჟკაცი იყო. 1962 წელს საქართველოში ყოფნა მომიხდა და შევიტყე, რომ ნარსია ცოცხალი ყოფილა. მისი მისამართი ვიშოვნე და წერილი გავუგზავნე. ნარსიას წერილი რომ მიეღო, ვეღარ მოეთმინა და ჩემს სანახავად მოვიდა.

ძნელია სიტყვებით გადმოგცეთ აღელვება და სიხარული, როცა ჩემი მეგობარი და სამამულო ომში ძმად ნაფიცი ცოცხალი და ჯანსაღი ვნახე, უკვე თმაშეერცხლილი, მაგრამ ისევე ხალასიანი და მხიარული, როგორც წინათ იყო. იგი ახლაც შრომობს იდეოლოგიური ფრონტის დიდმნიშვნელოვან უბანზე — ახალგაზრდა თაობას ასწავლის ცხაკაიას რაიონში, სოფელ ლენინჟინეში. მთელ თავის ძალღონეს ახმარს საყვარელ საქმეს.

უკრაინელი მეგობრები კი ხშირად იგონებენ თავიანთ მამაც მებრძოლ ამხანაგებს, რომლებიც სამამულო ომის წლებში ეხმარებოდნენ მათ მშობლიური მიწაწყლიდან ფაშისტური სიბილწის განდევნაში. ჩვენ არასოდეს არ დავივიწყებთ ქართველი ხალხის მამაც შვილებს, რომლებმაც ფაშისტური გერმანიის ოკუპაციის მძიმე დღეებში ფასდაუდებელი ძმური დახმარება გაგვიწიეს უკრაინელებს.

ანტონ ოდუხა,
ხმელნიცკის ოლქის პარტიზანთა რაზმების შენაერთის ყოფილი მეთაური, საბჭოთა კავშირის გმირი.

ა. ვ. ბაკრაძე



ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ [illegible] ა. ბაკრაძე [illegible] ნაციონალური პენსიონერი, სკკპ წევრი 1940 წლიდან ალეკსანდრე ვარლამის-ძე ბაკრაძე. ა. ბაკრაძე დაიბადა ოწში 1889 წელს. 1911 წელს დამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია, ხოლო 1917 წელს — ხარკოვის უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტი, რის შემდეგ მობილიზაციით გაწვეულ იქნა მოქმედ არმიაში.

1919 წლიდან ა. ბაკრაძე მუშაობას იწყებს ქ. ონის სამაზრო საავადმყოფოში მკურნალ ექიმად. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ 1921 წლიდან 1953 წლამდე სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდა ჯერ რაჭის მაზრისა და შემდეგ ონის ჯანმრთელობის დაცვის საქმეს.

ა. ბაკრაძე სამსახურებრივ მოვალეობას კარგად უთავსებდა საზოგადოებრივ მოღვაწეობას.

დიდი სამამულო ომის დაწყების დღიდანვე გაწვეულ იქნა საბჭოთა არმიის რიგებში და 1947 წლამდე მსახურობდა თბილისის ევაკოჰოსპიტლის უფროსად. სამამულო ომის დამთავრების შემდეგ ა. ბაკრაძე ბრუნდება მშობლიურ რაიონში და ჩვეული ენერგიით განაგრძობს შრომას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ა. ბაკრაძეს საქართველოს დამსახურებული ექიმის საპატიო წოდება მიანიჭა.

ა. ბაკრაძე იყო გულისხმიერი, თავდადებული და ენერგიული მუშაკი. წლების მანძილზე ერთგულად და უმწიკლოდ ემსახურებოდა მშრომელთა ჯანმრთელობის საქმეს, რისთვისაც დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით და სამამულო ომის ორ ორდენით.

ა. ბაკრაძის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება ჩვენს გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული მიმოხილვა

ბლოკნოტიდან

სიახლენი ფეხბურთელთა საიუბილეო ჩემპიონატის სტარტზე არც თუ ცოტაა. ტურების მიხედვით იცვლება გუნდების სატურნირო მდგომარეობა, მათი ბალანსი, ამასთანავე გზადაგზა საქმე გვაქვს მოულოდნელობებთან, სიურპრიზებთან.

განვლილი 30 შეხვედრა გამოირჩეოდა ბრძოლის აღმავლობით, ეფექტურობით. საშუალოდ ყოველ მატჩში გატანილი 2,1 ბურთი ცუდი შედეგი როდია.

სამი ტურის შემდეგ ჩვენს წინ არის 21 მოგება და 9 ფრე 63 გატანილი ბურთით. თუ პირველ ორ ტურში იგრძნობოდა გოლების ზრდა (21 და 25), მესამე ტურში სამი ნულოვანი (0:0) შედეგის გამო გატანილი ბურთების რაოდენობამ იკლო (17). ფრედ დამთავრებული ცხრა თამაშიდან ანგარიში 0:0 გამეორდა ექვსჯერ, 1:1—სამჯერ.

მართალია, მოსკოვის „სპარტაკი“ კიევის დინამოელებთან მატჩში დამარცხებით ჩამოსცილდა ლიდერთა სამეულს, მაგრამ მის ფორვარდებს ყველაზე მეტი (8) ბურთი აქვთ გატანილი. მხოლოდ ორ გუნდს არ მიუღია საკუთარ კარში არც ერთი ბურთი. ესენი არიან თბილისის „დინამოს“ და „ცსკა“-ს გუნდები.

ი ნ ი ო რ თ ა დ ი დ ი ტ ურ ნ ი რ ი

გუშინ ინგლისში დაიწყო ჭაბუკ ფეხბურთელთა ერთვნული ნაკრები გუნდების საერთაშორისო ტურნირი, ან, როგორც მას უწოდებენ, მსოფლიოს არაოფიციალური პირველობის გათამაშება.

ფეხბურთის სამშობლოში — ინგლისში ეს ასპარეზობა სპორტის მოყვარულთა უყურადღების ცენტრშია. დასაწყისში შეჯიბრება მიმდინარეობს ქვეჯგუფებში. გამარჯვებულებისაგან შეიქმნება ფინალური ჯგუფი 4 გუნდის მონაწილეობით. დასკვნითი ასპარეზობა მოეწყობა ლონდონის „უემბლის“ სტადიონზე 23 აპრილს.

საბჭოთა კავშირის იუნიორთა ნაკრები (მწვრთნელები — ა. პარამონოვი და ა. ჩეტირკო) გუშინ ლონდონს ეწვია. გუნდის შემადგენლობაშია 16 ფეხბურთელი. ესენი არიან მოსკოვის „სპარტაკის“, „ტორპედოს“, „დინამოს“, „ლოკომოტივის“, ლენინგრადის „ზენიტის“, ბაქოს „ნეფტიანიკის“ და სხვა კლუბების ჭაბუკი ფეხბურთელები.

სსრ კავშირის იუნიორთა ნაკრები მეტად ძლიერ ჯგუფში მოხვდა. დღეს ისინი ლონდონის გარეუბან ბრენტფორდში შეხვდებიან გასული წლის ტურნირში გამარჯვებულ რუმინეთის გუნდს, 15 აპრილს — ჰოლანდიის ფეხბურთელებს, 17 აპრილს — ინგლისის ჯუნდს.

... სპორტი

სპორტული მიმოხილვა

ბლოკნოტიდან

სისა და მოსკოვის „დინამოს“ გუნდები. ლიდერს — თბილისის „დინამოს“, რომელმაც სამი მატჩი მოიგო ზედიზედ, ბურთების ყველაზე უკეთესი სხვაობა (6-0) აქვს, ხოლო აუტსაიდერს ლენინგრადის „დინამოს“ ყველაზე უარესი — 0-7.

ყველაზე „უხვმოსავლიანი“ მატჩი ერევნის „არარატისა“ და ლენინგრადის „ზენიტის“ გუნდების შეხვედრა იყო. აქ გატანილ იქნა 7 ბურთი. საერთოდ კი სამი და მეტი ბურთის სხვაობით დამთავრდა 6 მატჩი. „სოვეტსკი სპორტის“ ყოველკვირეული დამატების „ფუტბოლის“ პრეზისათვის პირველ რიგში იბრძვიან მოსკოვის „სპარტაკის“, თბილისის „დინამოს“, დონის როსტოვის სკა-ს, კიევის „დინამოსა“ და ცსკა-ს გუნდები.

თბილისის დინამოელებს ლიდერთა რიგებში ვხედავთ დუბლიორთა შედეგების მიხედვითაც. მათ ცსკა-სთან, „ნეფტიანიკთან“, მინსკის „დინამოსთან“ ერთად ხუთ-ხუთი ქულა აქვთ და იბრძვიან სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის პრიზისათვის.

გატანილი ბურთებით ყველაზე უკეთესი შედეგი აქვთ მოსკოვის „სპარტაკისა“ და კიევის „დინამოს“ წარმომადგენლებს გ. ჭესანოვსა და ი. სერგბრიანიკოვს, რომელთა აქტივშია სამ-სამი გოლი. ორ-ორი ბურთი აქვთ გატანილი შ. იამანიძესა და გ. პეტროიაშვილს (თბილისის „დინამო“), ი. სვეიდოვს (მოსკოვის „სპარტაკი“), ვ. ტროიანოვსკის (კიევის „დინამო“), ვ. დენისოვს (ცსკა), ი. კოპაევს (დონის როსტოვის სკა) და ბ. კაზაკოვს (ეუბიშევის „კრილია სოვეტოვი“).

ი. პოდუბნის სახელობის პრიზზე

კლასიკურ მოჭიდავეთა საერთაშორისო ტურნირი მოსკოვში ცნობილი რუსი მოჭიდავის ი. პოდუბნის სახელობის პრიზზე ტრადიციული შეჯიბრება გახდა. იგი გამოირჩევა არა მარტო მასობრივობით, არამედ გუნდების შემადგენლობათა სიძლიერითაც.

მორიგი ასეთი ასპარეზობა გაიხსნა გუშინ მოსკოვის „კრილია სოვეტოვის“ სასპორტო დარბაზში. ტურნირში გამოდის 9 ქვეყნის 78 სპორტსმენი, რომელთა შორის არიან მსოფლიოს და ოლიმპიური ჩემპიონები, მრავალ საერთაშორისო ასპარეზობაში სახელმოხვეჭილი სპორტსმენები — უნგრელი ი. პოიაკი, ს. რიბალკო, რ. აბაშიძე, ა. კოლესოვი (სსრ კავშირი) და სხვ.

გუშინ დილით შედგა შესარჩევი შეხვედრები 4 წონიოს კატეგორიაში. საბჭოთა მოჭიდავეების უმრავლესობა სტარტზე წარმატებით გამოვიდა. გამარჯვებულთა შორის არიან დ. გვანცელაძე, ა. კოლესოვი და სხვ.

რედაქტორი **დ. მჟედლიშვილი.**

უყურმილო ტელეფონის აპარატი

ფოთი. კიდევ ერთი თვითნაკეთი ორიგინალური აპარატი შეიქმნა კოლხიდის ზღვისპირა ქალაქში. მისი ავტორია ბავშვთა ტექნიკური სადგურის დირექტორი ზურაბ ჩიქოვანი, რომელმაც მთელი წლის განმავლობაში დაძაბული მუშაობის შემდეგ შექმნა უყურმილო რადიოფიცირებული ტელეფონის აპარატი.

— ჩემი მუშაობის პირველი ნაყოფი იყო, — განაცხადა საუბარში ზ. ჩიქოვანმა, — ახალი აპარატის სქემა. მის საფუძველზე შეეუდექი მუშაობას. ჩვეულებრივი რადიოდინამიკი შევცვალე ბატარა გაბარიტიანი რადიოთი „დმ-2“.

საგასტროლოდ აფხაზეთში

სოხუმი. შავი ზღვის ფლოტის სევასტოპოლის დრამატული თეატრისათვის ტრადიციად იქცა ყოველწლიური გასტროლები აფხაზეთში.

ამ დღეებში სოხუმს ეწვევნენ და აფხაზეთის სახელმწიფო ფილარმონიის საზაფხულო თეატრის შენობაში გასტროლები დაიწყეს სევასტოპოლელმა მსახიობებმა. თეატრმა თავისი გასტროლები დაიწყო სპექტაკლით „ვივა კუბა“. ეს გმირული დრამა თეატრის კოლექტივმა მოამზადა დრამატურგ ა. შერვაშიძესთან ერთად. სპექტაკლი მაყურებელმა გულთბილად მიიღო.

თეატრის კოლექტივი სოხუმელებს უჩვენებს აგრეთვე ა. სალინსკის „მედოლეს“, ა. კრასოვსკის „გაზაფხული სახბორეში“, მ. გორკის დრამას „მოხუცი“, ლოპე დე ვეგას „ძაღლი თივაზე“ და სხვ.

გ. კუშკარეული.

მგზავრობა საკურორტო სეზონისათვის

ბორჯომი. (საკ. კორ.). ყოველწლიურად დიდძალ დამსვენებელს იზიდავს ბორჯომის თვალწარმტაცი ხეობა. აქ ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან ჩამოდიან დასასვენებლად. მალე ახალი საკურორტო სეზონი დაიწყება. ბორჯომის ჯგუფის კურორტები დაჩქარებით ემზადებიან დამსვენებელთა შესახვედრად.

სანატორიუმ „ლიკანში“ შენდება მზისა და ჰაერის აბაზანების მისაღები 80-საწოლიანი აეროსოლარიუმი. აქვე ეწყობა სამკურნალო ბილიკი — ტერენკური. დამთავრდა ახალი წყალსადენის მშენებლობა.

დიდი სარეკონსტრუქციო-სარემონტო სამუშაოები წარმოებს სანატორიუმ „ფიროზაში“. მიმდინარეობს კვების ბლოკისა და აეროსოლარიუმის. რეკონსტრუქცია. პლატოს დასასვენებელ სახლში შენდება კვების ახალი ბლოკი.

ახალი კომბინატი

ჭიათურა. (საკ. კორ.). კალინინის სახელობის მაღაროში დამთავრდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი.

კაპიტალური ნაგებობის მეორე სართულზე მოთავსებულია მაღაროს დირექცია, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები; პირველ სართულზე — მუშათა სასადილო-მაღაზია, საექიმო პუნქტი, ფეხსაცმლის შემკეთებელი და ტანსაცმლის სამკერვალო სახელოსნოები, საპარიკმახერო და სხვ.

„მოსკვიჩი“ — ლატარიის ბილეთით

ტყიბული. (საკ. კორ.). ქალაქის ქუჩებში გამოჩნდა კიდევ ერთი ახალი მსუბუქი ავტომანქანა — „მოსკვიჩი“. იგი მეორე გამოშვების ლატარიის 30-კაპიკიანი ბილეთით მოიგო ლენინის სახელობის შახტის მეხუთე საექსკლატაციო უბნის ამფეთქებელმა ნილ გალიმზიანოვმა.

ნ. გალიმზიანოვისათვის ეს პირველი მოგება როდია. შარშან მას იღლიან ბილეთს ხვდა 170 მანეთის ღირებულების ტელევიზორი.

-სურამში დამსვენებლებისათვის

ახლოვდება საკურორტო სეზონი. დამსვენებელთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით სურამში ფართოვდება სავაჭრო ქსელი. კურორტებაჭრობის განყოფილებამ ააგო ორი ახალი შენობა, ერთში მოეწყობა კაფე-სამაქარლამ, მეორეში —ხორცისა და თევზის მაღაზია.

კურორტის ერთ-ერთ ლამაზ კუთხეში გადახურეს კიდევ ერთი ახალი შენობა. იგი განკუთვნილია შერეული მაღაზიისა და სასაუზმისათვის.

დ. ფარემუზოვი.

... ქალაქის სუნთქვა

რეპორტაჟი

თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლესთან არსებული ბავშვთა მხატვრული აღზრდის განყოფილების სკულპტურის კაბინეტში გამოცდილი პედაგოგების ხელმძღვანელობით 100-მდე თბილისელი მოსწავლე მეცადინეობს.

სურათზე: პიონერთა სასახლის ნორჩი მოქანდაკეები ნადიექდა მარგიშვილი და დათო გველესიანი.

ფოტო ს. კილაძისა.

თოლიების თეთრმა გუნდმა ნავსადგურამდე მოაცილა თოვლივით ქათქათა თბომავალი „პობედა“. ზღვის მოსარკულ ზედაპირზე ამომავალი მზის ოქროსფერი სხივები თვალს გვჭრიდნენ. მუსიკის ჰანგები ზღვის ნაპირს ეფინებოდა... „პობედამ“ ამჯერად დიდძალი შაქარი ჩამოიტანა ბათუმში...

ბათუმის ნავსადგური ყველაზე სამხრეთი საზღვაო ჭიშკარია შავი ზღვის საბჭოთა ნავსადგურებს შორის. რომელი სახელმწიფოს გემებს არ შეხვედრით ახლა ჩვენს წყლებში. სტუმრთმოყვარე არიან შავი ზღვის საბჭოთა ნავსადგურები მშვიდობით მოსული გემებისათვის. ძველი ბერძნებიც სტუმრთმოყვარეს უძახდნენ შავ ზღვას. პონტი ევქსინისა — სტუმართმოყვარე ზღვას ნიშნავდა ძველბერძნულად.

მოდიან გემები სხვადასხვა ალმებით, მრავალ ენაზე მეტყველებენ ჩამოსული მეზღვაურები. მარტო ამ უკანასკნელ ორ თვეში ბათუმის ნავსადგურში ღუზა ჩაუშვა უცხოეთის ქვეყნების ათობით ტანკერმა და თბომავალმა. ექსპორტისა და იმპორტის დიდი ჭიშკარია ბათუმი. პორტალური ამწეები ტვირთავენ ნავთობპროდუქტებს, მარცლეულს, მანქანა-დანადგარებს. ჩვენი თვალუწვდენელი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში და საზღვარგარეთ ბაქაქთ ბათუმური წყალქვეშაფრთებიანი კატარღები, სასეირნო გლისერები, სამგზავრო თბომავლები, ელექტროკარები და ტრანსფორმატორები, ქუთაისური სატვირთო ავტომანქანები, მედიკამენტები, ჩაი და ციტრუსები.

ბათუმი ჩვენი ქვეყნის ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ექსპორტის მთავარი ცენტრია. როცა იაპონიისათვის გაკუთვნილი ნავთობპროდუქტებით დატვირთული ინგლისური ტანკერი „ლონდონ გლორი“ გავიდა, მეორე ნავმისადგომთან დადგა პოლონური „პროფესორი ჰუბერი“. ბათუმის ნავსადგურს, ისე როგორც შავი ზღვის სხვა ნავსადგურებს გაცხოველებული ვაჭრობა აქვთ საზღვარგარეთის სახელმწიფოებთან. აქედან გადის დიდმნიშვნელოვანი საზღვაო გზა, რომელიც ჩვენს ქვეყანას აკავშირებს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ბევრ სახელმწიფოსთან. ამასთან დაკავშირებით კვლავაც იზრდება ბათუმის, როგორც დიდი საზღვაო ნავსადგურის როლი.

რეგულარული სამგზავრო კავშირია დამყარებული ბათუმსა და ოდესას შორის. ამ ხაზზე მოძრაობენ საოკეანო ლაინერები „ადმირალი ნახიმოვი“, „როსია“, „გრუზია“, „უკრაინა“, „პობედა“, სამგზავრო თბომავლები „კოლხიდა“, „ლვოვი“, „პეტროდვორეცი“, „მოლდავია“ და სხვ.

უკანასკნელ წლებში სულ უფრო იზრდება ტურისტული მოგზაურობა ზღვით. შარშან ათეულ ათასობით ტურისტი ჩამოვიდა ბათუმში. „როსიამ“ საბჭოთა ტურისტები ჩამოიყვანა, „ტრანსილვანიამ“ რუმინელი ტურისტები, „რივიერა პრიმამ“ და „ვიქტორიამ“ იტალიელი ტურისტები. წელს ბერძნული გემი „აგამემნონი“ ამერიკელ ტურისტებს ჩამოიყვანს, ხოლო აკვისტოში „ტრანსილვანიით“ ფრანგი ტურისტები გვეწვევიან. ბათუმის ღიორშესანიშნავ ადგილებს დაათვალიერებენ